დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა კაცაძე

წევრები:

ასმათი ტოგონიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ლიანა ქოქიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ბესიკი ბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	234067933

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დაბა ლენტეხი,
ფაქტობრივი მისამართი	დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქუჩა 32
საფოსტო ინდექსი	2900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Lentekhi1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595509252

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 26 თებერვლის №233675 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16-17 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	ლენტეხი, თამარ მეფის N 32 (ერთი შენობა)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	ლენტეხი, თამარ მეფის N 32 (ერთი შენობა))
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	ლენტეხი, თამარ მეფის N 32 (ერთი შენობა))

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 15 და 16 აპრილს სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. **სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო** სკოლის შეფასების პროცესში ყველა ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული.

დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ექსპერტების მიერ სკოლიდან შესაბამის ვადებში გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის ნაწილი სკოლამ დროულად მოგვაწოდა, ნაწილი კი ადგილზე ვიზიტისას წარადგინა სკოლამ.

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში *ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც* ***ადმინისტრაციულ პერსონალს****, ასევე სკოლის* ***მასწავლებლებს, მოსწავლეებს*** *(საბაზო, საშუალო საფეხური) და* ***მშობლებს*** *(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური). ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც.* **სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო** სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად აქვს შენობა *(სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) , რომელიც მდებარეობს დაბა ლენტეხში. სკოლა არის სრულად რეაბილიტირებული. სკოლაში სამ საფეხურზე მმდინარეობს სწავლება (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) სკოლის შენობა დეტალურად იქნა შესწავლილი და შეფასებული ვიზიტის ფარგლებში.*

სკოლაში ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები . *გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს, ვიზიტის ფარგლებში მივაწოდეთ ფოტომასალა სკოლის ლაბარატორიების მდგომარეობის შესახებ და ამის შემდეგ გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.* სკოლაში ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებთან ერთად , ბრძანების საფუძველზე, იმყოფებოდა საჩხერის რესურსცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც მონაწილეობდა ვიზიტის ყველა აქტივობაში.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში რამდენიმე წელია წარმატებით ხორციელდება საპილოტე პროგრამა „სამხედრო საქმის სწავლება“, რომელიც თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სინთეზს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს სპეციალიზებული კაბინეტი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მოწოდებული შესაბამისი რესურსებით. სწავლება მოიცავს ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლების გაცნობას, ფიზიკურ მომზადებას, პირველად დახმარებასა და კრიზისულ სიტუაციებში რეაგირების უნარების განვითარებას. პროგრამის გამორჩეული კომპონენტები:

- პრაქტიკული გამოცდილება: საგანმანათლებლო ვიზიტები დასავლეთის სარდლობის მე-6 საარტილერიო და მე-2 ქვეით ბრიგადებში, რაც მოსწავლეებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, უშუალო კავშირი ჰქონდეთ სამხედრო ინფრასტრუქტურასა და პროფესიონალებთან.
- უნარების განვითარება: აქცენტი კეთდება დისციპლინაზე, გუნდურობაზე, ლიდერობასა და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებაზე.

მიღწეული შედეგი: პროგრამა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას, პროფესიულ ორიენტაციასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნული პრაქტიკა დადებითად აისახება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე, ამზადებს მათ საზოგადოებრივი გამოწვევებისთვის და ხელს უწყობს აქტიური, პასუხისმგებლიანი მოქალაქეების აღზრდას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---------- 220	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხური*	*ხარვეზი*
	საბაზო საფეხური	

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	რადგან, 2025-2026 სასწავლო წელს, სკოლას ყავს ორი „პრაქტიკოსი მასწავლებელი“დაწყებითი კლასებისა და სპორტის. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.06.26-15.09..26) აიყვანოს კვალიფიცირებული კადრი.
3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე პირველადი დახმარებ აღმოჩენას;	ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შირმა ექთნის კაბინეტში. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** შესაბამისობის გეგმით განსაზშვრულ ვადაში **11.05.2026 წელი) შეისყიდოს შირმა და დაკიდოს ექიმის ოთახში.**
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის	**რეკომენდაცია**: სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. *სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და მისი შეთანხმება უფლებამოსილ სამსახურთან. ასევე, სრულად იქნას დაცული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ.* *სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში წარადგინოს* დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს შენობა_ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას, გაცემულს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

	განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	***24.02.2926-31.12.2026***
3.5.1.3.	ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნებს არ აქვს მინიჭებული ნომერი და არ აქვს დასმული ბეჭედი დებულების შესაბამიშად.წიგნები ნუმერაციის მიხედვით არ არის აღნუსხული.	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლის ბაზაზე არსებული წიგნადი ფონდი* დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესით. 2026 წლის მაისი
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი N 2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობ მოთხოვნასთან შესაბამისი, კურიკულუმ განხორციელებისათვის საჭირო ადამიანურ რესურსი.*	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა პორთფოლიოების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საგნობრივ მიმართულებებს ასწავლიან პირები, რომელთაც არ აქვთ გავლილი სერთიფიცირება ან არ გააჩნიათ შესაბამისი სტატუსი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია** დაწყებითი საფეხურის, სპორტის და სპეც.მასწავლებლის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადება.მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შეუვსებლობის შემთხვევაში 2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში საათები გადანაწილდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებზე.

2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, უზრუნველყოს საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენების ხელშესაწყობად და სიღრმისეული სწავლებისთვის ლაბორატორიის აწყობა, რეაქტივების მარაგის შევსება. 05.03.2026 -05.03.2027 წელი

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
1.1.1.2	**სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ მისიასა და ხედვაში კიდევ უფრო მეტად ასახოს რეგიონული კონტექსტი. კერძოდ, მიზანშეწონილია ისეთი ხედვების ინტეგრირება, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეებში სამეწარმეო და ტურისტული პოტენციალის (გიდობა, სასტუმრო და სარესტორნო საქმე) გაცნობიერებაზე. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ადგილზე დამაგრებას, ლენტეხის პოპულარიზაციას და კუთხის ეკონომიკურ გაჯანსაღებას, რაც სკოლის სოციალურ მისიას უფრო სიღრმისეულს გახდის.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
3.4.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**	სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკ სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილ წესის მიხედვით	სასურველია სკოლამ ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებული წიგნადი ფონდი, შეიყვანონ ელექტრონულ კატალოგში. განახლდეს წიგნადი ფონდი.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
4.2.2.1	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის*	სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს აღნიშნულ საკითხზე მუშაობას, მით უფრო, რომ იგი მდებარეობს ძალიან მდიდარი და სპეციფიური კულტურის, ტრადიციების, ისტორიის მქონე მხარეში. აუცილებელია ამ სიმდიდრეების

		პროფესიებთან დაკავშირება და ბავშვებში სურვილის გაჩენა აითვისონ არსებული რესურსები.
4.2.1.5	*სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას*	მნიშვნელოვანია, სკოლამ ხელი შეუწყოს, მოსწავლეთა მეტად გააქტიურებას და დამატებითი/არაფორმალური აქტივობების უფრო აქტიურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო** სასურველია, კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს.
2.1.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**რჩევა:** სასურველია, **დაწყებით საფეხურზე** (I-დან IV კლასების) **ბუნებისმეტყველების** საგნობრივი წლიური პროგრამების ამსახველ დოკუმენტში-კურიკულუმში ისევე ზუსტად აისახოს თემებისა და სამიზნე ცნებების მჭიდრო კორელაცია საგნობრივ სტანდარტთან, როგორც ეს არის საბაზო/საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში.

2.1.1.4		**დაწყებითი (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება)** **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.
2.1.2	1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები.** იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს.
2.1.2	2. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სახელმწიფო ენა რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.
2.1.2. 3		დაწყებითი (1-ლი -მე-4 კლასი)

		რჩევა: სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი საგაზო*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
2.1.2	1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო** სასურველია, კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს.
2	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმმწიფო ენა რჩევა: სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით, (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების ან მოსწავლეების მომზადებული მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.)
2.1.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	**საზოგადოებრივი მეცნიერებები.** იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს.

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	
2.1.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სახელმწიფო ენა რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.
2.2.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	***რჩევა:*** მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში პირველად ინფორმაციად უნდა ჩაიწეროს მისი ძლიერი მხარე, რა შეუძლია, რა გამოსდის კარგად და შემდეგ უკვე საგნობრივი მიმართულებით რომელი აქტივობები შეიძლება გამარტივდეს, ჩაიაშალოს, მოერგოს კონკრეტულ ქეისს. აგრეთვე, სასურველია ისგ-ში მუსიკის საგნის ცნებაზე/ცნებებზე დაფუძნებული აქტივობები იყოს შემოთავაზებული. მაგალითად, დაკონკრეტდეს მუსიკის მახასიათებლებთან მიმართებაში, მაგ.: გაავლოს ხაზი ბგერის სიმაღლის, ან ბგერის სიძლიერის, ან ტემბრის მიხედვით და სხვა.

2.2.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	**სახელმწიფო ენა** **რჩევა:** კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი საშუალო*	*რჩევა*
2.2..1		სახელმწიფო ენა რჩევა: კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეები, თუმცა არ არის დეტალურად აღწერილი შეფასების კრიტერიუმები ან მეთოდები. შეფასების რუბრიკების ან კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტების დამატება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და ობიექტურობას.
2.2.1.3		საზოგადოებრივი მეცნიერებები რჩევა: სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე.
2.1.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო** სასურველია, კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს.

2.2.2.3		**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია სკოლამ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს საბაზო და საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენების ხელშესაწყობად და სიღრმისეული სწავლებისთვის ლაბორატორიის აწყობა, რეაქტივების მარაგის შევსება.
2.1.2	1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები.** იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს.
2.1.2	2. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სახელმწიფო ენა რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.

2.2.2.5		**მუსიკის** საგნის საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში სასურველია, საბაზო საფეხურის ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა და ჟანრი რუბრიკაში გაიწეროს დამოუკიდებლად, თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალური ქულას შეადგენს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ სსიპ - ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული შეუსაბამობები , რის გამოც მესამე სტანდარტი („სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა“), კერძოდ კი კომპონენტები: 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“. ასევე, გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფისა და სასკოლო ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვა-დამუშავების კუთხით.
დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ მიგნებებზე წარმოადგინა თავისი არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა , რომელშიც დეტალურად გაწერა ხარვეზების აღმოფხვრის გზები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და ფინანსურ-მატერიალური რესურსები.
ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, მტკიცებულებები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. გაზიარებულ იქნა პოზიცია და მტკიცებულებები ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების (კომპონენტი 3.4) ნაწილში:

სახანძრო უსაფრთხოება: სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ოფიციალური მიმართვა/განცხადება (დათარიღებული 13.05.2026 წლით) სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს (დეპარტამენტის) მიმართ,

შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის თაობაზე. ვინაიდან სკოლამ გადადგა ქმედითი ნაბიჯები და დაიწყო ოფიციალური წარმოება სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოსაპოვებლად , ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს აღნიშნულ არგუმენტს და მიიჩნევს, რომ პროცესი დაწყებულია.

2. გაზიარებულ იქნა შესაბამისობის გეგმა მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის (კომპონენტი 3.5) ნაწილში: სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა (შირმა): სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება — შპს „მეგა ჰოულდინგთან“ გაფორმებული ხელშეკრულება (№12, 11.05.2026 წელი) სამედიცინო შირმის შესყიდვის თაობაზე, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 510 ლარს, ხოლო შესრულების საბოლოო ვადად განსაზღვრულია 25.06.2026 წელი. აღნიშნული რეალური მტკიცებულება ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ იქნა ვალიდურად და სრულად გაიზიარა.
3. ბიბლიოთეკის ფონდის მოწესრიგება: კრიტერიუმთან (3.5.1.3) დაკავშირებით, სადაც წიგნებს არ ჰქონდა მინიჭებული ნომერი და დასმული ბეჭედი დებულების შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა აქტივობა ბიბლიოთეკის ფონდის საბიბლიოთეკო წესით დამუშავების შესახებ (დაწყება: 10.05.2026, დასრულება: 30.06.2026), რომელზეც პასუხისმგებელია სკოლის ბიბლიოთეკარი. ვინაიდან ეს პროცესი შიდა რესურსით სრულად მოგვარებადია და გაწერილია გონივრულ ვადებში, ექსპერტთა ჯგუფმა ეს პოზიციაც გაიზიარა.
4. საბუნებისმეტყველო საგნების მატერიალური რესურსები: კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საბაზო და საშუალო საფეხურზე მატერიალური რესურსების ნაკლებობასთან დაკავშირებით სკოლის მიერ გაწერილი შესაბამისობის აქტივობები მიჩნეულ იქნა ადეკვატურად, რადგან რეაბილიტირებულ სკოლაში ლაბორატორიული გარემოს სრულყოფა დაგეგმილია შესაბამისი რესურსების მობილიზებით.

5.კომპონენტი 3.1 - პერსონალის მართვა

შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები პერსონალის მართვის კუთხით მიღებულ იქნა ცნობად , თუმცა, ვინაიდან ვიზიტის მომენტისთვის ხარვეზი არსებითი იყო და სტანდარტი შეფასდა უარყოფითად, ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს, რომ შესაბამისობის გეგმის სრულფასოვანი შესრულება უნდა გახდეს შემდგომი მონიტორინგის ან ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

დასკვნა: ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს დაწესებულების კონსტრუქციულ მიდგომას, ხარვეზების სწრაფ იდენტიფიცირებასა და მათი გამოსწორების მიზნით ქმედითი ნაბიჯების დაუყოვნებლივ გადადგმას (შესყიდვების განხორციელება, სახანძრო სამსახურისთვის მიმართვა). წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები (ხელშეკრულებები და ოფიციალური წერილები) ექსპერტთა ჯგუფის მიერ ძირითად ნაწილში გაზიარებულია და მიჩნეულია საფუძვლად იმისა, რომ სკოლას აქვს რეალური რესურსი და მზაობა მოკლე ვადებში სრულად უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1.

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

   სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის **მისია** ორიენტირებულია ისეთი თავისუფალი და აქტიური მოქალაქის აღზრდაზე, რომელიც აღჭურვილი იქნება მაღალი აკადემიური ცოდნითა და ეროვნული ღირებულებებით. მნიშვნელოვანია, რომ მისია ხაზს უსვამს შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი კეთილდღეობისთვის. სკოლის **ხედვა** ფოკუსირებულია უსაფრთხო, ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნასა და მოსწავლის წარმატებული მომავლისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე. აღსანიშნავია პასუხისმგებლობის გაზიარების პრინციპი ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას შორის, რაც მიუთითებს სკოლის, როგორც სოციალური აგენტის, როლის სწორ გააზრებაზე.

   სკოლის მიერ დეკლარირებული **ღირებულებები** (გუნდურობა, პროფესიონალიზმი, პატრიოტიზმი, შემოქმედებითობა და გამჭვირვალობა) ქმნის მყარ საფუძველს მისიისა და ხედვის რეალიზებისთვის. წარმოდგენილი ფორმულირებები არ არის მხოლოდ ზოგადი ხასიათის და ასახავს სკოლის მზაობას, უზრუნველყოს ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება ადგილობრივ კონტექსტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

   სსიპ დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლა საკუთარ როლს მკაფიოდ განსაზღვრავს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებულ სწავლებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითრეალიზაციას.

ამასთანავე, სკოლის გეოგრაფიული მდებარეობისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სკოლის როლის კიდევ უფრო მეტად დაკავშირება რეგიონის განვითარებასთან. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ სკოლა წარმოადგენს ადგილობრივი თემის ინტელექტუალურ ცენტრს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კუთხის ეკონომიკურ და კულტურულ გაძლიერებას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ მისიასა და ხედვაში კიდევ უფრო მეტად ასახოს რეგიონული კონტექსტი. კერძოდ, მიზანშეწონილია ისეთი ხედვების ინტეგრირება, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეებში სამეწარმეო და ტურისტული პოტენციალის (გიდობა, სასტუმრო და სარესტორნო საქმე) გაცნობიერებაზე. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ადგილზე დამაგრებას, ლენტეხის პოპულარიზაციას და კუთხის ეკონომიკურ გაჯანსაღებას, რაც სკოლის სოციალურ მისიას უფრო სიღრმისეულს გახდის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავების პროცესი იყო ინკლუზიური და მასში მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფმა.

სკოლამ წარმოადგინა კონკრეტული მონაცემები ჩართულობის შესახებ: პროცესში მონაწილეობდა 22 მასწავლებელი, 50 მოსწავლე (საბაზო-საშუალო საფეხური) და 20 მშობელი. აღნიშნული აქტივობა დოკუმენტირებულია შესაბამისი შეხვედრების ოქმებით, სადაც ასახულია განხილვის პროცესი და გამოთქმული მოსაზრებები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ექსპერტთა ჯგუფის მიერ მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები. ინტერვიუების პროცესში რესპონდენტებმა დაადასტურეს მათი რეალური ჩართულობა სკოლის საჭიროებების კვლევასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში. მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები ავლენენ სკოლის მისიისა და ღირებულებების გააზრებულ ცოდნას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დოკუმენტის შემუშავება იყო არა ფორმალური, არამედ საერთო შეთანხმების შედეგი დირექციასთან ერთად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში დანერგილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების ეფექტური მექანიზმები. სასკოლო საზოგადოების ყველა სექტორი მონაწილეობს მისია, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში. ,ამიტომაც სასკოლო საზოგადოების თითოეუ წევრს გაზიარებული აქვს სკოლის მისი. თემის ჩირებულებები მკველრად არის ინტეგრირებული სკოლის ღირებულებებთან. სკოლა იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას, საჯაროობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები).

კერძოდ, სკოლის ფილოსოფია განთავსებულია: **ციფრულ სივრცეში.** განსაკუთრებით აღსანიშნავია მშობლებთან ოპერატიული კომუნიკაციისთვის შექმნილი მესენჯერ-ჯგუფების გამოყენება, რაც ზრდის მშობელთა

ინფორმირებულობის ხარისხსდა მათ ჩარჩულობას ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება არა მხოლოდ იცნობს ამ დოკუმენტებს, არამედ იზიარებს მათში ასახულ პრინციპებს. სკოლის პერსონალი და მშობლები აღიქვამენ მისიასა და ღირებულებებს, როგორც სკოლის ყოველდღიური საქმიანობის გზამკვლევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს თავისი ფილოსოფიის საჯაროობასა და მუდმივ ხელმისაწვდომობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და ადგილზე ვიზიტით დასტურდება, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ციფრული არხების გამოყენებით.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია:

ციფრული არხებით: სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (emis.ge-ს ბაზაზე) და სოციალურ ქსელში, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის პოტენციურ მშობელსა თუ პარტნიორ ორგანიზაციას, დაუბრკოლებლად გაეცნოს სკოლის პრიორიტეტებს.

მატერიალური სახით: სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას (საინფორმაციო დაფაზე) განთავსებული დოკუმენტაცია უზრუნველყოფს ფიზიკურ სივრცეში მყოფი პირების ინფორმირებას.

საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის ეს ფორმატი სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან სკოლა ღიად აცხადებს თავის ღირებულებებსა და მიზნებს საზოგადოების წინაშე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

..

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

. სკოლის სამართლებრივი სტატუსი და სახელწოდება შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან. სკოლა დაფუძნებულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ).

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენის პერიოდში დაწესებულების სახელწოდება იყო „სსიპ დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლა“. თუმცა, 2026 წლის თებერვლიდან სკოლას მიენიჭა გმირი პოლიციელის სახელი და ამჟამინდელი ოფიციალური სახელწოდებაა: **„სსიპ ლევან ლიბარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლა“**.

აღნიშნული ცვლილება განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას ლევან ლიპარტელიანის სახელი მიენიჭა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის **2026 წლის 24 თებერვლის N 21/ ნ ბრძანებით.** სკოლის სახელწოდება შეიცავს როგორც სტატუსის აღმნიშვნელ ტერმინს („საჯარო სკოლა“), ისე

ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას (სსიპ). სკოლის ბეჭედი, ტიტულოვანი ფურცელი და სხვა ოფიციალური რეკვიზიტები შესაბამისობაშია ახალ სახელწოდებასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ .
2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
3. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
4. Skolebi.emis.ge -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტები.
5. ფოტო მასალა.
6. ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წევრებთან (დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები).

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ **„სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას“**.

წარმოდგენილი მეთოდოლოგია დეტალურად აღწერს იმ ეტაპებსა და ინსტრუმენტებს, რომლებსაც სკოლა იყენებს დაგეგმვის პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) ინტერესებისა და პრიორიტეტების გამოკვეთის მექანიზმებს, როგორიცაა კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები და სამუშაო შეხვედრები.

მეთოდოლოგიის არსებობა ადასტურებს, რომ სკოლა სტრატეგიულ დაგეგმვას უყურებს არა როგორც ერთჯერად აქტს, არამედ როგორც ციკლურ, მონაწილეობით პროცესს. სკოლამ ასევე წარმოადგინა აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებული 7-წლიანი სტრატეგიული და 1-წლიანი სამოქმედო გეგმები, რაც მიუთითებს მეთოდოლოგიის პრაქტიკულ რეალიზებაზე.

ინტერვიუების პროცესში დადასტურდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ინფორმირებულნი არიან გეგმების შემუშავების პრინციპებზე, რაც ზრდის დოკუმენტის ლეგიტიმაციასა და მისი აღსრულების ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 7-წლიან პერიოდს და თავისი სტრუქტურით არის ციკლური ხასიათის. დოკუმენტის ანალიზით დასტურდება, რომ იგი პირდაპირ ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის განვითარების ერთიანი ხაზის შენარჩუნებას.

სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებული მიზნები თავსებადია სკოლის მისიასთან. თითოეული სტრატეგიული მიზანი დაშლილია კონკრეტულ, გაზომვად ამოცანებად, რომლებიც მიმართულია სკოლის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევისა და პრიორიტეტების რეალიზებისკენ. გეგმის ციკლურობა გამოიხატება იმაში, რომ იგი ითვალისწინებს პერიოდულ გადახედვასა და განახლებას სასკოლო საზოგადოების საჭიროებების ცვლილების შესაბამისად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სტრატეგიულ მიზნებში ასახულია სკოლის მისწრაფება, ჩამოყალიბდეს როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სივრცე (რაც სკოლის ხედვის ნაწილია). ამოცანების ფორმულირება იძლევა მათი შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის რეალიზების მთავარ ინსტრუმენტს. დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ მასში გაწერილი აქტივობები პირდაპირ გამომდინარეობს 7-წლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან და ამოცანებიდან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლას გააზრებული აქვს ყოველწლიური თვითშეფასების როლი სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია სკოლის რეალურ საჭიროებებზე, რომლებიც გამოიკვეთა თვითშეფასების პროცესში. სკოლის ხედვა, რომ მომდევნო ციკლისთვის კიდევ უფრო გააღრმაოს კავშირი თვითშეფასების შედეგებსა და დაგეგმილ აქტივობებს შორის, მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულება ისწრაფვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვისკენ. სამოქმედო გეგმაში დეტალიზებულია აქტივობების განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები, რაც ქმნის საფუძველს გეგმის ეფექტიანი მონიტორინგისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია (**დირექტორის ბრძანება N17/ა**)

სტრუქტურულად გამართულია და პასუხობს სტანდარტის ყველა მოთხოვნას. დოკუმენტის ანალიზით დასტურდება, რომ:
შინაარსობრივი კავშირი: თითოეული აქტივობა ლოგიკურ ჯაჭვშია სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან. არ იკვეთება ისეთი აქტივობები, რომლებიც არ ემსახურება სკოლის გრძელვადიან პრიორიტეტებს. გეგმაში მოცემულია შესრულების ინდიკატორები, რაც სკოლის მენეჯმენტს საშუალებას აძლევს, წლის ბოლოს ობიექტურად შეაფასოს მიღწეული შედეგები. აქტივობების განსახორციელებლად მითითებულია შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები. მნიშვნელოვანია, რომ რესურსების დაგეგმვა შეესაბამება სკოლის რეალურ ბიუჯეტსა და ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს. მკაფიოდაა განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რაც ხელს უწყობს შიდა სასკოლო კონტროლისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების ეფექტიან მუშაობას.
აღნიშნული მიდგომა მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ორიენტირებულია არა ფორმალურ დაგეგმვაზე, არამედ რეალურ შედეგებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; (დირექტორის ბრძანება N17/ა)

- 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- ინტერვიუ სკოლის დირექციასთან და სტრატეგიული დაგეგვმის ჯგუფთან

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი „სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო სისტემა. მნიშვნელოვანია, რომ მეთოდოლოგია ერთმანეთისგან მიჯნავს **მონიტორინგს**, როგორც აქტივობების შესრულების ტექნიკურ კონტროლს და **შეფასებას**, როგორც პროცესის ხარისხობრივ ანალიზს.

   სისტემა ეფუძნება ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობითობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას დაგეგმილი შედეგების გადამოწმებაში. სკოლამ წარმოადგინა მონიტორინგის კონკრეტული სქემა, რომელიც გამოიყენება შედეგების ანალიზისთვის.

   სკოლის მიერ სისტემის პრაქტიკული გამოყენება დასტურდება სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის **ანგარიშით 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სამოქმედო გეგმის შესრულების** შესახებ. სკოლას გაწერილი აქვს ანგარიშგების ციკლი, რომლის მიხედვითაც 2026 წლის ივნისის ბოლოს იგეგმება წლიური შეფასების წარდგენა სამეურვეო საბჭოს წინაშე. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა იცავს მართვის დემოკრატიულ პრინციპებს და უზრუნველყოფს მენეჯმენტის გამჭვირვალობას. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია **მოქმედი კანონმდებლობისა** და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის დაცვით. პროცესი არის

მრავალმხრივი და არ შემოიფარგლება მხოლოდ მშრალი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებით. აღწერილობითი მიმოხილვისას იკვეთება შემდეგი ძლიერი მხარეები: **მონაწილეობითი მონიტორინგი:** პროცესს წარმართავს სპეციალურად შექმნილი სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი დირექციასთან ერთად, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობას და ფუნქციების გადანაწილებას. სკოლა იყენებს **უკუკავშირის ინსტრუმენტებს** სასკოლო საზოგადოებისა (მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები) და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან (მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობა, საგანმანათლებლო რესურსცენტრი). ეს მიდგომა საშუალებას აძლევს სკოლას, გეგმის შესრულება შეაფასოს არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ მომხმარებლის (მოსწავლის/მშობლის) კმაყოფილების პერსპექტივიდან. **ეფექტური კომუნიკაცია:** სამუშაო ჯგუფი მუდმივ რეჟიმში თანამშრომლობს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (კათედრები, თვითმმართველობა), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას ყველა დონეზე. წარმოდგენილი არგუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლაში მონიტორინგი არის ცოცხალი პროცესი, რომელიც ორიენტირებულია სისტემის ყველა რგოლის ჩართულობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

   სიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების ანგარიშგებასა და საჯაროობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით დასტურდება, რომ განხორციელებული საქმიანობის შედეგები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. საჯაროობის უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმად სკოლა იყენებს ციფრულ პლატფორმებს. კერძოდ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ისევე როგორც მათი განხორციელების ამსახველი ინფორმაცია, განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.ასევე ფეისბუქგვერძე. ეს მიდგომა ხელს უწყობს ნდობის ამაღლებას სასკოლო საზოგადოებასა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის.
   გარდა ციფრული ხელმისაწვდომობისა, სკოლა პერიოდულად წარადგენს ანგარიშებს სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოზე, მღობელთა კრებებზე, რაც უზრუნველყოფს შედეგების საჯარო განხილვას შიდა სასკოლო დონეზე. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნას გამჭვირვალე მმართველობის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში სტრატეგიული მართვის პროცესი ორიენტირებულია უწყვეტ განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით დასტურდება, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები წარმოადგენს საფუძველს მომავალი დაგეგმარებისთვის.

ანალიზის პროცესში იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი: **მტკიცებულებებზე დაფუძნებული განვითარება:** სკოლა რეგულარულად ახორციელებს გამოკითხვებსა და სამუშაო შეხვედრებს, სადაც ხდება დადებითი და უარყოფითი ტენდენციების იდენტიფიცირება. ეს საშუალებას აძლევს მენეჯმენტს, რეალურად დაინახოს სკოლის წინაშე არსებული გამოწვევები. **ინსტიტუციური მეხსიერება და ანგარიშგება:** კათედრების თავმჯდომარეებისა და დირექციის ყოველწლიური ანგარიშები პედაგოგიურ საბჭოზე ქმნის მონაცემთა ერთიან ბაზას, რომლის საფუძველზეც ხდება სკოლის მუშაობის ხარისხობრივი შეფასება. **მოქნილობა და ადაპტაცია:** სკოლა მზად არის, შეფასების შედეგების საფუძველზე შეიტანოს კორექტივები სტრატეგიულ გეგმაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დოკუმენტი არის "ცოცხალი" და პასუხობს ახალ რეალობას. აღსანიშნავია მკვლევარი მასწავლებლების კოორდინაციით მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის გეგმა, რაც ზრდის შეფასების პროცესის ვალიდურობასა და ობიექტურობას.

აღნიშნული მიდგომა სრულად პასუხობს სტანდარტის მოთხოვნას, რადგან შეფასების შედეგები პირდაპირ აისახება სკოლის მომავალ სამოქმედო გეგმებში, რაც უზრუნველყოფს განვითარების ლოგიკურ უწყვეტობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.
- 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წევრებთან

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასჩან ინტერვიურებითდასტურდება, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია მკაფიო და ფუნქციურად გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა. სკოლის მართვის მოდელი უზრუნველყოფს ყველა იმ როლისა და პოზიციის არსებობას, რომელიც აუცილებელია სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობისთვის.

აღწერილობითი მიმოხილვისას იკვეთება შემდეგი გარემოებები:

სტრუქტურული ერთეულების განსაზღვრულობა: სკოლას აქვს დამტკიცებული საშტატო ნუსხა, სადაც მკაფიოდაა იდენტიფიცირებული როგორც მენეჯერული (დირექტორი, მოადგილე), ისე აკადემიური, ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პოზიციები. საშტატო განრიგის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: **დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმიმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი, სპეციალური მასწავლებელი, 2 ცეცხლფარეში, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი**. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლთა მიხედვით, დადგენილია მათი ფუნქცია - მოვალეობები. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები მოიცავს დეტალურ სამუშაო აღწერილობებს. ფუნქცია-მოვალეობების მკაფიო განსაზღვრა გამორიცხავს საქმიანობათა დუბლირებას და ზრდის თითოეული თანამშრომლის ანგარიშვალდებულებას.

სტრუქტურაში გათვალისწინებულია ისეთი სპეციფიკური პოზიციები, როგორიცაა საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და სპეციალური მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ რეგიონის კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სტრუქტურაში ცეცხლფარეშების პოზიციის არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ზამთრის პერიოდში უსაფრთხო და კომფორტული სასწავლო გარემოს შესანარჩუნებლად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების დროს, თანამშრომლებმა დაადასტურეს საკუთარი კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების ზედმიწევნითი ცოდნა, რაც მიუთითებს ორგანიზაციული მოწყობის ეფექტიანობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის მართვის სტრუქტურა ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან მხარდაჭერაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციითა და დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ფუნქციების განაწილება ემსახურება საერთო სასკოლო მიზნების ეფექტურ რეალიზებას.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

საკვალიფიკაციო ჩარჩოს არსებობა: სკოლას დამტკიცებული აქვს „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს, რომ თითოეულ პოზიციაზე შერჩეული იყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი, რაც პირდაპირ აისახება სწავლა-სწავლების ხარისხზე.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ სტრუქტურულ ერთეულებს (დირექცია, კათედრები, ადმინისტრაციული პერსონალი) შორის დამყარებულია კოორდინირებული თანამშრომლობა. ეს კავშირები ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფ გაცვლასა და პრობლემების ოპერატიულ გადაჭრას.

შედეგზე ორიენტირებულობა: სკოლაში არსებული სამუშაო გარემო ხელს უწყობს ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, სადაც თითოეული პირის პასუხისმგებლობა მკაფიოდაა დაკავშირებული საგანმანათლებლო საქმიანობის საბოლოო შედეგებთან.

ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის არსებობს მჭიდრო კომუნიკაცია, რაც გამორიცხავს ბიუროკრატიულ შეფერხებებს და მაქსიმალურად უწყობს ხელს მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შენარჩუნებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
  - სკოლის შინაგანაწესი;
  - ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლთან

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი ეფუძნება სისტემურ მიდგომას. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“**, რომელიც წარმოადგენს დაწესებულების განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს.

   ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ასპექტები:

   სამართლებრივი შესაბამისობა: სკოლის შიდა რეგულაციები და პერსონალთან დაკავშირებული ბრძანებები სრულ თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, კერძოდ: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან (მინისტრის N67/ნ ბრძანება) და კარიერული წინსვლის სქემასთან (მთავრობის N241 დადგენილება). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი დეტალურად ფარავს პერსონალის მართვის მთლიან ციკლს: კადრების შერჩევას, ახალი თანამშრომლების ადაპტაციას, კვალიფიციური კადრების შენარჩუნებასა და მათ მუდმივ პროფესიულ განვითარებას. სკოლაში პერსონალთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება (მიღება, დაწინაურება, წახალისება) ფორმდება **დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით (ბრძანებებით)**, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და კანონიერებას.

   განვითარებაზე ორიენტირებულობა: სკოლას გააზრებული აქვს მაღალკვალიფიციური კადრების როლი სწავლის ხარისხის ამაღლებაში, რის გამოც დაგეგმილია წახალისების სხვადასხვა ღონისძიებები და მხარდაჭერა მასწავლებელთა კარიერული წინსვლისთვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები ადასტურებს, რომ სკოლა ზედმიწევნით იცავს დადგენილ პირობებს და ქმნის სტაბილურ სამუშაო გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

   სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვა არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციებით. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკის არსებობას. **პრევენციული მექანიზმები:** სკოლას შემუშავებული აქვს

მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის ინსტრუმენტები. მხარდამჭერი ღონისძიებები და კოლეგიური თანამშრომლობა (გამოცდილების გაზიარება) ქმნის პოზიტიურ სამუშაო გარემოს, რაც ამცირებს პერსონალის გადინების ან პროფესიული გადაწვის რისკს. **ინტერვენციული მექანიზმები:** სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც ახორციელებს რეაგირებას შინაგანაწესის დარღვევის ან სხვა კრიზისული სიტუაციების დროს. გადაწყვეტილებები მიიღება დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობასა და ობიექტურობას. **რისკების მართვა და უწყვეტობა:** მნიშვნელოვანია სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის ჩანაცვლების პრაქტიკა. მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, ფუნქციების დელეგირებისა და ჩანაცვლების სისტემა იძლევა საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაღალმთიანი რეგიონის სკოლისთვის. **გამჭვირვალე შერჩევა:** პერსონალის შერჩევის კონკურსის წესი უზრუნველყოფს ვაკანტურ პოზიციებზე საუკეთესო კადრების მოზიდვას ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა მართავს ადამიანურ რესურსებს არა მხოლოდ კანონის მოთხოვნების დაცვით, არამედ ორგანიზაციული მდგრადობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესი წარიმართება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ეთიკის ნორმების სრული დაცვით. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება იყენებს გამჭვირვალე მექანიზმებს კვალიფიციური კადრების მოსაზიდად. ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

პროცედურული გამჭვირვალობა: მასწავლებელთა ვაკანსიები ცხადდება საჯაროდ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე (teacherjobs.ge), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობას.

ობიექტური შეფასება: შერჩევის პროცესისთვის, მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, იქმნება საკონკურსო კომისია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით), რაც გამორიცხავს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოფს კანდიდატთა ობიექტურ შეფასებას. **უსაფრთხო გარემოს გარანტია:** სკოლა მკაცრად იცავს კანონმდებლობის მოთხოვნას და დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში ინახავს **ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა**/ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ ცნობებს და **საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობებს**.“ აღნიშნული ადასტურებს სკოლის პასუხისმგებლობას მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

ადმინისტრაციული შესაბამისობა: 2020 წლიდან დღემდე განხორციელებული ყველა დანიშვნა ფორმდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, რომელთაც წინ უსწრებს დადგენილი ფილტრებისა და პროცედურების გავლა. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში დანერგილია კადრების შერჩევის ჯანსაღი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია პროფესიონალიზმსა და საჯარო ინტერესების დაცვაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებით. პერსონალის პროფესიული მომზადების დონე სრულ თანხვედრაშია როგორც ეროვნულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან, ისე სკოლის შიდა საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. აღწერილობითი მიმოხილვისას გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: **პედაგოგიური კადრების სტატუსი:** სკოლაში დასაქმებული **24 მასწავლებლიდან** აბსოლუტური უმრავლესობა (20 პირი) ფლობს პროფესიულ სტატუსს (**1 წამყვანი და 19 უფროსი მასწავლებელი).** აღნიშნული მონაცემები მიუთითებს სკოლის მაღალ აკადემიურ პოტენციალზე თუმს მასწავლებელთა პირადი საქმეების ანალიზისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ **სკოლას ყავს ორი „პრაქტიკოსი მასწავლებელი“,** რომელთა კვალიფიკაციაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ასევე **სკოლაში არ არის კვალიფიციური სპეც.** მასწავლებელი. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს მხოლოდ ასისტენტი. რადგან სკოლაში ორი სსსმ მოსწავლეა აუცილებელია სკოლას ყავდეს სპეც მასწავლებელი. **სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნის პროექტში გაწერილი ხარვეზი და წარმოადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა აპირებს ვაკანსიის გამოცხადებას და კვალიფიცირებული კადრის აყვანას. 15.06.2026-15.09.2026 ვადაში**

სპეციფიკური კადრების კომპეტენცია: სკოლაში სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს **ექიმი,** რომლის კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით. მნიშვნელოვანია, რომ მასთან გაფორმებული ხელშეკრულება და მისი კომპეტენცია სრულად პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (№41/ნ/01-23/ნ) დადგენილ სტანდარტებს. **ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.**

- **ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი:** სკოლის მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების შერჩევითი შემოწმებით დასტურდება, რომ სხვა დასაქმებული პირები (საინფორმაციო მენეჯერი, ბუღალტერი, მატერიალურ-

ტექნიკური კოორდინატორი და სხვ.) ასევე ფლობენ მათი პოზიციებისთვის აუცილებელ განათლებასა და გამოცდილებას.

აღნიშნული მონაცემები იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლის ადამიანური რესურსი რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული მიზნების ეფექტურ შესრულებას.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია გუნდური და მონაწილეობითი კულტურის განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ მართვის სტილი ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის კოლაბორაციასა და პასუხისმგებლობის გაზიარებას. **კოლეგიური მართვა:** სკოლის სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო და მრჩეველთა საბჭო, ფუნქციონირებენ დამოუკიდებლად და აქტიურად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს უზრუნველყოფს მრავალმხრივ ექსპერტიზას როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ საკითხებში. **გუნდური მუშაობა კურიკულუმზე:** საგნობრივ კათედრებზე კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების შემუშავება მიმდინარეობს გუნდურად, რაც ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და სწავლების ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებას.

დემოკრატიული გარემო: მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მშობელთა ჩართულობის მექანიზმები (სამეურვეო/მრჩეველთა საბჭოები) მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება ჯანსაღი კომუნიკაციისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს.

ავტონომიურობა და კოლაბორაცია: სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობა, მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, აძლიერებს პერსონალის მოტივაციას და სკოლის შიგნით ქმნის საერთო მიზნისთვის გაერთიანებული გუნდის განცდას.

აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს, რადგან სკოლაში ჩამოყალიბებული ორგანიზაციული კულტურა პირდაპირ უწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის პოტენციალის რეალიზებას.

.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია პერსონალის აღიარებისა და მოტივირების სისტემა, რაც აისახება სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება აფასებს თანამშრომელთა მიღწევებს და ხელს უწყობს მათ პოპულარიზაციას.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები:

- **ფორმალური მექანიზმები:** სკოლის შინაგანაწესით მკაფიოდაა განსაზღვრული თანამშრომელთა წახალისების ფორმები. ეს მექანიზმები მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ სტიმულირებას (მაგალითად: მადლობის გამოცხადება, სიგელებით დაჯილდოება ან სხვა სახის წახალისება), რაც ეფუძნება პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და სკოლის განვითარებაში შეტანილ წვლილს.
- **გამოცდილების გაზიარება:** აღიარების მექანიზმი მჭიდრო კავშირშია კოლეგიური გაზიარების პრაქტიკასთან. წარმატებული პედაგოგიური გამოცდილება განიხილება კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, რაც საშუალებას აძლევს სხვა თანამშრომლებს, გაიზიარონ საუკეთესო პრაქტიკა და დანერგონ იგი საკუთარ საქმიანობაში. წარმატების აღიარების პროცესი ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციისა და ურთიერთდაფასების გარემოს შექმნას, რაც დადებითად აისახება სკოლის საერთო აკადემიურ მიღწევებზე.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუსას პერსონალმა დაადასტურა, რომ სკოლის ადმინისტრაცია ამჩნევს და სათანადოდ აფასებს მათ ინიციატივებსა და მიღწევებს, რაც ზრდის დასაქმებულთა კმაყოფილების ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საშტატო განრიგი;
- თანამშრომლეთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- eschool ბაზის მონაცემები;
- სკოლის შინაგანაწესი.
- ინტერვიუ

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**
   სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი და არგუმენტირებული მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საჭიროებათა დადგენის ეფექტური სისტემის არსებობას.
   მრავალმხრივი შეფასების სისტემა: სკოლა პერსონალის საჭიროებების დასადგენად იყენებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს: თვითშეფასებას, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, კრიტიკული შემთხვევების ანალიზსა და უშუალო დაკვირვებას სასწავლო პროცესზე. ეს უზრუნველყოფს ობიექტური სურათის მიღებას მასწავლებელთა ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. **მხარდამჭერი ინსტიტუციური რგოლი:** განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლაში მოქმედი **„ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“**. ჯგუფის დებულების არსებობა ადასტურებს, რომ პერსონალის მხარდაჭერა არ არის ეპიზოდური და იგი ეფუძნება გააზრებულ მეთოდოლოგიას.
   განვითარებაზე ორიენტირებული მონიტორინგი: სამუშაოს შესრულების ხარისხის მონიტორინგი ემსახურება არა დასჯას, არამედ თანამშრომელთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. მონაცემთა ანალიზი ხდება სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებით.
   ორგანიზაციული მოწესრიგებულობა: „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი ქმნის მკაფიო ჩარჩოს პერსონალის განვითარებისთვის, რაც ხელს უწყობს სკოლაში პროფესიული კულტურის ამაღლებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მათთვის საჭირო რესურსებსა და კონსულტაციებს პროფესიული წინსვლისთვის.
2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა ეფუძნება სისტემურ და საჭიროებებზე ორიენტირებულ მიდგომას. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით დასტურდება, რომ განვითარების ღონისძიებები პირდაპირ კავშირშია წინასწარ გამოვლენილ საჭიროებებთან. ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ძლიერი მხარეები: **შიდა რესურსების გამოყენება:** სკოლა აქტიურად იყენებს შიდა ადამიანურ რესურსს პერსონალის გადამზადებისთვის. ტრენინგებისა და ვორქშოფების ორგანიზება სკოლის ბაზაზე მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულებაში არსებობს ცოდნის გაზიარების კულტურა. სკოლას ყავს მასწავლებელი, რომელიც იყო ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის კოორდინატორი წლების განმავლობაში. განსაკუთრებით პოზიტიურად უნდა შეფასდეს სკოლაში დამკვიდრებული **„კრიტიკული მეგობრის“** ინსტიტუტი. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს მასწავლებელთა შორის პროფესიულ დიალოგს, ურთიერთდასწრებასა და კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც საუკეთესო გზაა პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

- **ინდივიდუალური განვითარება:** სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა ავტონომიურობას პროფესიულ ზრდაში. პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა, თავად დაგეგმონ ინდივიდუალური აქტივობები, მოისმინონ გარე სპეციალისტების ლექციები ან ჩაერთონ გამოცდილების გაზიარების პროცესებში, რაც ასახულია მათ ინდივიდუალურ გეგმებში.
- **გამოცდილების გაზიარება:** კოლეგიური ურთიერთობები და ერთობლივი მუშაობა პრობლემური საკითხების გადაჭრაზე სკოლაში მიღებული ფორმაა, რაც ხელს უწყობს ერთიანი აკადემიური სტანდარტების დამკვიდრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მაქსიმალურად უწყობს ხელს მათ მონაწილეობას სხვადასხვა პროფესიულ აქტივობებში და სკოლის გარემო ორიენტირებულია ურთიერთმხარდაჭერაზე.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მასწავლებელთა კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პრაქტიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ ადმინისტრაცია აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგებს „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ განსაზღვრული შესაძლებლობების რეალიზებაში. მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოთქვამს მზაობას და მოტივაციას, აიმაღლოს პროფესიული სტატუსი. სკოლა ამ პროცესში ასრულებს ფასილიტატორის როლს, რაც გამოიხატება მასწავლებელთათვის საჭირო კონსულტაციების გაწევასა და შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნაში. სკოლაში უფროსი და წამყვანი მასწავლებლების არსებობა (როგორც ეს წინა ინდიკატორებში აღვნიშნეთ) არის კარიერული ზრდის ხელშეწყობის რეალური შედეგი. სკოლა უზრუნველყოფს

მასწავლებელთა პორტფოლიოების მომზადების მხარდაჭერასა და მათ ჩართულობას ისეთ აქტივობებში, რომლებიც აუცილებელია შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად.

რესურსებზე ხელმისაწვდომობა: კარიერული ზრდისთვის სკოლა პედაგოგებს სთავაზობს შიდა სასკოლო რესურსებს, მათ შორის ტექნოლოგიურ მხარდაჭერასა და პროფესიული ლიტერატურის ხელმისაწვდომობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სკოლის ხელმძღვანელობა ყოველთვის გამოხატავს მზაობას, ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ წინსვლას, რაც დადებითად აისახება სკოლის საერთო აკადემიურ რეიტინგზე.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია ახალი პერსონალის ინტეგრაციისა და ადაპტაციის სისტემა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება ზრუნავს ახალი თანამშრომლებისთვის მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი მექანიზმები: თანამშრომელთა ადაპტირების წესი გაწერილია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში. ეს გულისხმობს ახალი კადრებისთვის სკოლის სტრუქტურის, შინაგანაწესის, ეთიკის ნორმებისა და სამუშაო სპეციფიკის გაცნობას ფორმალურ დონეზე.

კოლეგიური კულტურა: ინტეგრაციის პროცესში დიდ როლს ასრულებს სასკოლო კულტურა, რომელიც ეფუძნება ურთიერთდახმარებას. ახალ თანამშრომლებს საშუალება აქვთ, მიიღონ კონსულტაციები გამოცდილი კოლეგებისგან, რაც აჩქარებს მათ ჩართვას სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში.

ინფორმაციული უზრუნველყოფა: სკოლა უზრუნველყოფს ახალი პერსონალის ინფორმირებულობას სკოლაში არსებული რესურსების, ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და უსაფრთხოების წესების შესახებ.

აღნიშნული მიდგომა ამცირებს ახალი თანამშრომლებისთვის შესაძლო სტრესს და ხელს უწყობს მათ სწრაფ პროფესიულ თვითრეალიზებას, რაც დადებითად აისახება სკოლის მუშაობის საერთო ხარისხზე.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება სტიმულირებულია ადმინისტრაციის მხრიდან. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება ხელს უწყობს მასწავლებელთა ინოვაციურ მიდგომებს და უზრუნველყოფს მათ პრაქტიკულ რეალიზებას.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი პოზიტიური ტენდენციები:

- **ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი:** სკოლაში მოქმედებს უკუკავშირისა და ინიციატივების განხილვის გამართული სისტემა. მასწავლებელთა ან საგნობრივი კათედრების მომართვის საფუძველზე, დირექცია განიხილავს პროფესიულ ინიციატივებს და გამოხატავს მზაობას მათ მხარდასაჭერად.
- **რესურსული უზრუნველყოფა:** მნიშვნელოვანია, რომ ინიციატივების წახალისება არ შემოიფარგლება მხოლოდ სიტყვიერი მხარდაჭერით. სკოლა უზრუნველყოფს პედაგოგებს საჭირო რესურსებით (ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალები, სივრცე), რაც პირდაპირ კავშირშია სკოლის **შესყიდვების გეგმასთან**. ეს მიუთითებს იმაზე, რომ პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული საჭიროებები გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტსა და მატერიალურ დაგეგმარებაში.
- **შემოქმედებითი თავისუფლება:** პერსონალს აქვს შესაძლებლობა, დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა პროექტები, ვორქშოფები თუ სასწავლო აქტივობები, რაც ზრდის მათ ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას სასწავლო პროცესის ხარისხზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია ღიაა ახალი იდეებისთვის და მაქსიმალურად ცდილობს შექმნას ხელსაყრელი გარემო მათი განხორციელებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები/ინდიკატორები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- კითხვარი მასწავლებლებისათვის.
- ინტერვიუ

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

   სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომელიც სრულ თანხვედრაშია სკოლის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მართვის მოდელი ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლურ პრინციპს. სკოლაში მართვა აღქმულია, როგორც ურთიერთდაკავშირებული პროცესების ერთობლიობა. ეს დასტურდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითა და სტრატეგიული დაგეგმვის სისტემით, სადაც თითოეული ნაბიჯი ლოგიკურად მოსდევს წინას. **ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი):** სკოლის საქმიანობაში მკაფიოდ იკითხება ხარისხის მართვის ციკლის ყველა ეტაპი:

   დაგეგმვა: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება.

   განხორციელება: სასწავლო პროცესის წარმართვა დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით.

   შემოწმება: ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება.

   განვითარება: შეფასების შედეგების საფუძველზე გეგმებში ცვლილებების შეტანა და პროცესების გაუმჯობესება.

   ინსტიტუციური გარანტიები: ხარისხის განვითარების ჯგუფის არსებობა და მათი აქტიური ჩართულობა პროცესების მართვაში უზრუნველყოფს იმას, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს სტანდარტების დაცვასა და გაუმჯობესებაზე.

   მისიასთან თანხვედრა: მართვის ყველა პროცედურა მიმართულია სკოლის მისიით გაცხადებული პრიორიტეტისკენ — მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე.

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ხარისხის შიდა მართვის მდგრადი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანობას.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში იდენტიფიცირებულია და სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში აღწერილია ყველა ის საკვანძო პროცესი, რომელიც აუცილებელია სკოლის გამართული ფუნქციონირებისთვის. სკოლა პროცესებს განიხილავს სამ ძირითად ჭრილში:

მმართველობითი პროცესები: სკოლის შინაგანაწესსა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა აღწერილი ადმინისტრაციული მართვის მოდელი. განსაზღვრულია დირექციის, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და კათედრების როლი მართვის პროცესში. დოკუმენტებში მკაფიოდ იკითხება ანგარიშვალდებულების ჯაჭვი და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები. სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა, მონიტორინგი და შეფასება აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა (სსგ) და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში. სკოლა აანალიზებს სწავლების ხარისხს კათედრების დონეზე, რაც წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობის ბირთვს.

დამხმარე პროცესები: აღნიშნული პროცესები, რომლებიც მხარს უჭერს ძირითად საქმიანობას, გაწერილია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“, საქმისწარმოების წესსა და შინაგანაწესში. ეს მოიცავს საკადრო პოლიტიკას (მიღება, შვებულება, ჩანაცვლება), დისციპლინურ წარმოებას, დოკუმენტბრუნვასა და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლის დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები, შინაგანაწესი) დეტალურად აწესრიგებს შრომით ურთიერთობებს, მათ შორის სოციალურ გარანტიებს (ორსულობისა და ბავშვის მოვლის შვებულება და სხვ.), რაც მიუთითებს პროცესების მართვის მაღალ კულტურასა და კანონშესაბამისობაზე. პროცესების ასეთი დანაწილება და აღწერა ხელს უწყობს სკოლის მართვის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში დანერგილია საჩივრებისა და განცხადებების განხილვის გამართული სამართლებრივი მექანიზმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი „საჩივრების განხილვის წესი“ ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებობს დავის გადაწყვეტის ცივილიზებული და გამჭვირვალე ფორმატი.

სკოლის მიერ შემუშავებული წესით მკაფიოდაა რეგულირებული საჩივრის წარდგენის ფორმა, განხილვის ვადები და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს (თანამშრომელი, მშობელი, მოსწავლე) აქვს გარანტირებული შესაძლებლობა, დაიცვას თავისი ინტერესები.

კონკურსის გამჭვირვალობა: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრების მექანიზმი ვრცელდება ვაკანსიების შესავსებად გამოცხადებულ კონკურსებზეც. ეს ამცირებს მიკერძოებულობის რისკს და ზრდის ნდობას სკოლის საკადრო პოლიტიკის მიმართ. საჩივრების განხილვის პროცესში სკოლა ზედმიწევნით იცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა ხელს უწყობს მხარეებს შორის ნდობის შენარჩუნებას და იცავს მათ შესაძლო დისკრიმინაციისგან. სკოლის ადმინისტრაცია საჩივრებზე რეაგირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად, რაც გულისხმობს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებასა და მხარეების დროულ ინფორმირებას.

აღნიშნული სისტემის არსებობა ადასტურებს, რომ სკოლაში მართვის სტილი ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვასა და კონფლიქტების სამართლებრივ ჭრილში მოგვარებაზე.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში პერსონალისა და მშობელთა უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია ურთიერთდაკავშირებული სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების სისტემით. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება ქმნის გარემოს, სადაც თითოეული მხარის კანონიერი ინტერესები დაცულია.სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს მთავარ დოკუმენტს, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასში მკაფიოდაა გაწერილი პერსონალისა და მშობლების უფლება-მოვალეობები, რაც გამორიცხავს თვითნებურ გადაწყვეტილებებს. სკოლაში მოქმედებს **დისციპლინური კომიტეტი**, რომელიც სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპით განიხილავს უფლებების შესაძლო დარღვევის შემთხვევებს. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს მხარეთა მოსმენასა და ობიექტურ მსჯელობას. თითოეული კლასის დამრიგებლის როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია მშობელთა უფლებების დაცვის კუთხით. დამრიგებელი წარმოადგენს შუამავალ რგოლს მშობელსა და სკოლას შორის, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის დროულ გაცვლასა და კონფლიქტების პრევენციას. **უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი:** სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე **პასუხისმგებელი პირი,** რაც გარანტიაა იმისა, რომ სკოლის ტერიტორიაზე დაცული იქნება წესრიგი და პერსონალისა თუ მშობლების ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში დანერგილია მართვის მონაწილეობითი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით დასტურდება, რომ ინფორმაციის გაცვლისა და უკუკავშირის მექანიზმები არის მრავალფეროვანი და ეფექტური.სასკოლო საზოგადოების წევრები რეალურად არიან წარმოდგენილნი სკოლის მართვის ორგანოებში (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა). ეს უზრუნველყოფს იმას, რომ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისას გათვალისწინებულია ყველა მხარის ინტერესი.
სკოლა აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად. კათედრების მიერ შექმნილი საკომუნიკაციო მესინჯერ-ჯგუფები და სოციალური ქსელები საშუალებას იძლევა, ინფორმაცია მყისიერად მივიდეს ადრესატამდე და მოხდეს ოპერატიული უკუკავშირი.მართვის პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით. სკოლა აანალიზებს სოციალურ ქსელებსა და სამუშაო ჯგუფებში დაფიქსირებულ მოსაზრებებს, რაც შემდგომში ხდება ადმინისტრაციული მსჯელობის საგანი. ეს მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომელთა შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა

და რეალიზებას. მრავალმხრივი კომუნიკაციის არსებობა ამცირებს გაუცხოებას ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოებას შორის, რაც აძლიერებს საერთო სასკოლო კულტურასა და პასუხისმგებლობის გრძნობას.
აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს, რადგან სკოლა ახერხებს მონაწილეობითი მართვის პრინციპების რეალურ ცხოვრებაში გადმოტანას.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში კოლეგიალური მართვის პრინციპი მაღალ დონეზეა რეალიზებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის აქტიურ თანამონაწილეობას.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ძლიერი მხარეები: პედაგოგიური საბჭო, რომელშიც ყველა მასწავლებელი თანაბარი უფლებითაა წარმოდგენილი, ფუნქციონირებს როგორც აქტიური სადისკუსიო პლატფორმა. გადაწყვეტილებების მიღება ხდება აზრთა გაზიარებისა და კოლექტიური ანალიზის საფუძველზე, რაც ზრდის პერსონალის პასუხისმგებლობას საერთო შედეგებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია დისციპლინური კომიტეტის დაკომპლექტების წესი, სადაც პედაგოგებთან ერთად ჩართულნი არიან მშობლები და მოსწავლეები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ობიექტურობას, ნდობას და სამართლიანობის განცდას სასკოლო საზოგადოებაში. **მმართველობითი რგოლების აქტიურობა:** სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის რეალური ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში მიუთითებს იმაზე, რომ სკოლის მართვა არ არის ცენტრალიზებული და განაწილებულია სხვადასხვა პასუხისმგებელ რგოლს შორის. სკოლა ქმნის გარემოს, სადაც დასაქმებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინიციატივები და მიზნები დაუკავშირონ სკოლის განვითარების სტრატეგიას, რაც ხელს უწყობს მოტივირებული და გუნდური გარემოს შენარჩუნებას.
ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები თავს მიიჩნევენ მართვის პროცესის სრულუფლებიან მონაწილეებად, რაც კრიტერიუმით განსაზღვრული მოთხოვნების სრულ შესაბამისობაშია.
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- სკოლის ფეისბუქ -გვერდი და მესინჯერ-ჯგუფები.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, თუმცა ინდიკატორის სრულყოფილად დაკმაყოფილებისთვის საჭიროა **გარკვეული დოკუმენტური ბაზის მოწესრიგება. ინფრასტრუქტურული მდგომარეობა:** სკოლის შენობა ახალი რეაბილიტირებულია. შენობა-ნაგებობის მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებს შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხს. თუმცა, ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული **შენობის ექსპლუატაციის** უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნები.

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები: სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოებასა და წესრიგზე ზრუნავს საგანგებოდ დანიშნული პასუხისმგებელი პირი. ასევე, ფუნქციონირებს დარაჯების შტატი და დანერგილია მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მეთვალყურეობას სასწავლო პროცესის დროს.სკოლაში დამონტაჟებულია 12 ვიდეოთვალი შიდა პერიმეტრზე და ორიც გარე პერიმეტრზე. კამერები განლაგებულია ისე, რომ სრულად ჩანს სკოლის ყველა პერიმეტრი. მუშაობს 24 საათიან რეჟიმში. კამერების საკონტროლოდ კომპიუტერები განლაგებულია ცალკე ოთახში და მეთვალყურეობა ხდება შესაბამისი პირის მიხედვით. **საგანგებო სიტუაციების მართვა:** ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული გეგმა და სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ დოკუმენტი (№370 დადგენილების შესაბამისად). სკოლას გააზრებული აქვს აღნიშნული ხარვეზები და წარმოდგენილი აქვს დეტალური „შესაბამისობის გეგმა“. სკოლა იღებს ვალდებულებას, 2026 წლის 31 დეკემბრამდე მოიპოვოს ყველა საჭირო დასკვნა და შეათანხმოს საგანგებო გეგმები უფლებამოსილ უწყებებთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური გარემო უსაფრთხოა, დოკუმენტური შეუსაბამობების გამო ინდიკატორი ფასდება, როგორც **მეტწილად** შესაბამისი და **გაიცა რეკომენდაციები და რჩევა:**

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და მისი შეთანხმება უფლებამოსილ სამსახურთან. ასევე, სრულად იქნას დაცული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში წარადგინოს დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს შენობა_ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას, გაცემულს კომპეტენტური ორგანოს მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გამოაგზავნა წერილი - 2026 წლის 13 მაისს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მომზადების თაობაზე განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

სკოლას მიეცა რჩევა *აიყვანოს სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.*

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში შექმნილია პირობები პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. სკოლამ წარადგინა სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც პასუხობს სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს.

ინფრასტრუქტურული აღჭურვილობა: სამედიცინო კაბინეტი მოწყობილია შესაბამის სივრცეში და აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ინვენტარით, როგორიცაა: სამედიცინო ტახტი, საკაცე, მედიკამენტების კარადა, მაცივარი და პირველადი დახმარებისათვის საჭირო ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები.

სკოლაში არსებული მედიკამენტების მარაგი შეესაბამება დადგენილ ნუსხას, რაც იძლევა საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსა და პერსონალს აღმოეჩინოთ დროული დახმარება.

პერსონალი: როგორც ადამიანური რესურსების ნაწილში აღინიშნა, სკოლას ჰყავს შესაბამისი **კვალიფიკაციის მქონე ექიმი,** რომელიც ზედამხედველობს სამედიცინო პროცესებს.

დაფიქსირებული ხარვეზი: ექსპერტთა ჯგუფის მიერ სამედიცინო კაბინეტის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ კაბინეტში არ არის **განთავსებული დამცავი შირმა,** რაც აუცილებელია გასინჯვის პროცესში მოსწავლის კონფიდენციალურობისა და კომფორტის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული წარმოადგენს მცირე ხარვეზს სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის სტანდარტთან მიმართებით.

სკოლის ადმინისტრაციამ , ახალი **შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა** მტკიცებულება — შპს „მეგა ჰოულდინგთან“ გაფორმებული ხელშეკრულება (№12, 11.05.2026 წელი) სამედიცინო შირმის შესყიდვის თაობაზე, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 510 ლარს, ხოლო შესრულების საბოლოო ვადად განსაზღვრულია 25.06.2026 წელი. აღნიშნული რეალური მტკიცებულება ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ იქნა ვალიდურად და სრულად გაიზიარა.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მრავალკომპონენტიანი სისტემა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულება ეფექტურად მართავს შიდა პერიმეტრსა და ვიზიტორთა ნაკადს.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ასპექტები:

უფლებამოსილი პირები: სკოლის დირექტორის ბრძანებით დანიშნულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი **წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.** მასთან ერთად, წესრიგის შენარჩუნებაში ჩართულნი არიან დარაჯები და მორიგე პედაგოგები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მუდმივ მეთვალყურეობას როგორც სასწავლო პროცესის, ისე

დასვენებების დროს. **შესვლისა და გადაადგილების კონტროლი:** სკოლის შესასვლელში მოქმედებს მკაცრი კონტროლის მექანიზმი. დარაჯი აწარმოებს სპეციალურ რეესტრს, სადაც აღირიცხება სკოლაში შემოსული ყველა უცხო პირი, რაც მინიმუმამდე ამცირებს უსაფრთხოების რისკებს.**ინფორმირებულობა და კომუნიკაცია:** შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საგანგებო ნომრები, მათ შორის სსიპ „112"-ის ცხელი ხაზი. ეს უზრუნველყოფს კრიზისულ სიტუაციაში დახმარების სწრაფ გამოძახებას. **ცნობიერების ამაღლება:** სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა ინფორმირებულობას. კლასის ხელმძღვანელები რეგულარულად აცნობენ ბავშვებს მათ უფლებებსა და სკოლაში ქცევის წესებს "სადამრიგებლო საათის" ფარგლებში, რაც ხელს უწყობს კონფლიქტების პრევენციასა და თვითდისციპლინის ამაღლებას.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების ერთობლიობა ქმნის სტაბილურ და უსაფრთხო გარემოს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური კეთილდღეობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების სისტემური მექანიზმები.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა ინსტრუქცია". აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს გზამკვლევს პერსონალისთვის, თუ როგორ უნდა მოხდეს შესაძლო ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირება და რა სამართლებრივი ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

სკოლას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული გადამისამართების (რეფერირების) პროცედურა. საჭიროების შემთხვევაში, ხდება მოსწავლის გადამისამართება მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური დახმარების ხელმისაწვდომობას. ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების პროცესში აქტიურად არის ჩართული სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ზრუნავს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაციასა და მხარდაჭერაზე. ასევე, მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება ქმნის დამატებით პლატფორმას საკითხების კოლეგიური და ობიექტური განხილვისთვის. **პრევენციული გარემო:** უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისა და პედაგოგების კოორდინირებული მუშაობა მიმართულია ბულინგისა და სხვა სახის ემოციური ზეწოლის პრევენციისკენ, რაც ქმნის პოზიტიურ სასკოლო კლიმატს. აღნიშნული მექანიზმების არსებობა ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს არა მხოლოდ ფიზიკურ,

არამედ მოსწავლეთა სულიერ და ემოციურ სიმშვიდეზე, რაც საგანმანათლებლო პროცესის წარმატების აუცილებელი წინაპირობაა.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დაწესებულება მუდმივად ზრუნავს სუფთა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაზე.

სკოლის სისუფთავეზე პასუხისმგებელია **სამი** შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული **დამლაგებელი.** ისინი უზრუნველყოფენ სკოლის შენობისა და ეზოს ყოველდღიურ დასუფთავებას, რაც მოიცავს როგორც შიდა პერიმეტრს, ისე გარე ტერიტორიის მოვლას (ბალახისა და ნარჩენებისგან გათავისუფლება). **სველი წერტილების მდგომარეობა:** სკოლის სველი წერტილები მოწესრიგებულია და მუდმივად მარაგდება აუცილებელი ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, ქაღალდი და სხვ.). აღნიშნულ პროცესს ზედამხედველობას უწევს სკოლის დირექცია მატერიალური რესურსების მართვის ფარგლებში. **სკოლას ყველა სართულზე აქვს ადაპტირებული სველი** წერტილიძ **ნარჩენების მართვა:** სკოლის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვა ორგანიზებულია მუნიციპალურ სამსახურთან კოორდინაციით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს მოსწავლეთა ინიციატივა — ფოიეში განთავსებული ქაღალდის შესაგროვებელი ყუთი, რაც მიუთითებს სკოლაში გარემოსდაცვითი კულტურის არსებობაზე.

სკოლაში დაცულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი სანიტარული წესები და ნორმები. ვიზუალური დათვალიერების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა სუფთაა და შექმნილია ყველა პირობა პირადი ჰიგიენის დასაცავად.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი რეგულირდება სისტემურად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა მყარი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი და ტექნიკური სტანდარტების დაცვას. სკოლას დამტკიცებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“, სადაც დეტალურადაა გაწერილი მონაცემთა დამუშავების პრინციპები, მიზნები და საფუძვლები. დოკუმენტი ფარავს ყველა იმ სფეროს, სადაც ხდება პირადი

ინფორმაციის შეგროვება (პირადი საქმეები, ელექტრონული ბაზები და სხვ.). **პასუხისმგებელი პირი:** სკოლაში განსაზღვრულია **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი**, რომელიც ზედამხედველობს მონაცემთა დამუშავების კანონიერებას და ახორციელებს პერსონალის კონსულტირებას. ეს მიუთითებს სკოლის მზაობაზე, პრევენციულად დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა. **ვიდეოთვალთვალის რეგულირება:** სკოლაში გაწერილია ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესი. განსაზღვრულია კამერების განთავსების ადგილები, მონაცემთა შენახვის ვადები და იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ წვდომა ჩანაწერებზე. შენობის პერიმეტრზე განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. მკაფიოდაა განსაზღვრული უფლებამოსილებები — სკოლის რომელ თანამშრომელს (მაგ: საინფორმაციო მენეჯერი, ბუღალტერი, დირექტორი) აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემებზე, რაც გამორიცხავს ინფორმაციის არასანქცირებულ გავრცელებას. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალ სტანდარტს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

   სკოლაში დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის პრაქტიკა, რომელიც მოიცავს როგორც მატერიალური (ქაღალდზე არსებული), ისე ციფრული მონაცემების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ დაწესებულება იყენებს პრევენციულ ზომებს ინფორმაციის დაკარგვის, დაზიანების ან არასანქცირებული წვდომისგან დასაცავად. **ციფრული მონაცემების დაცვა:** სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა და სერვერული ბაზები დაცულია პაროლების სისტემით. წვდომა ადმინისტრაციულ და ფინანსურ მონაცემებზე (მაგ: e-School, eFlow, საბუღალტრო პროგრამები) აქვთ მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებს. პერიოდულად ხორციელდება მონაცემთა სარეზერვო ასლების (**Backup**) შექმნა, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის აღდგენას ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში. **მატერიალური არქივის უსაფრთხოება:** სკოლაში არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, ჟურნალები, ბრძანებები) ინახება დაცულ სივრცეში (სეიფები, ლითონის კარადები), სადაც წვდომა შეზღუდულია. სკოლის რეაბილიტაციის პროცესში გათვალისწინებულია არქივისთვის განკუთვნილი ოთახის იზოლაცია და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება. სკოლის შიდა ინტერნეტ-ქსელი აღჭურვილია ფილტრაციის მექანიზმებით, რაც იცავს სასკოლო საზოგადოებას არაავტორიზებული ვებ-გვერდებისგან და უზრუნველყოფს კიბერ-ჰიგიენის დაცვას.

   კონფიდენციალურობის ვალდებულება: პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ვალდებულება, რაც დამატებითი სამართლებრივი გარანტიაა სკოლის ხელთ არსებული სენსიტიური ინფორმაციის დასაცავად. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის სტაბილურობას და ინფორმაციული რესურსების საიმედო მართვას.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში უსაფრთხოების სისტემა არ არის სტატიკური. სკოლის მიერ წარმოდგენილი „ინფორმაციის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი“ ითვალისწინებს რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს, რაც უზრუნველყოფს გარემოს მუდმივ გაუმჯობესებას. ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები:**პერიოდული რევიზია:** სკოლა ახორციელებს როგორც ფიზიკური უსაფრთხოების (მაგ: ვიდეოთვალთვალის გამართულობა, სახანძრო ინვენტარის მდგომარეობა), ისე საინფორმაციო და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების მექანიზმების გადამოწმებას. ეს პროცესი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს იდენტიფიცირებული პოტენციური რისკები.**უკუკავშირის გამოყენება:** შეფასების პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის, მორიგე პედაგოგებისა და მშობლების მხრიდან მიღებული ინფორმაცია. მაგალითად, თუ გამოიკვეთა პერიმეტრი, რომელიც კამერით ნაკლებად კონტროლდება, სკოლა გეგმავს შესაბამის ტექნიკურ რეაგირებას. **გაუმჯობესებაზე ორიენტირებულობა:** შეფასების შედეგები განიხილება ადმინისტრაციულ შეხვედრებზე, რის საფუძველზეც ხდება უსაფრთხოების ინსტრუქციების განახლება ან დამატებითი რესურსების მობილიზება (როგორც ეს მოხდა სამედიცინო კაბინეტის შემთხვევაში, სადაც სკოლამ გამოხატა მზაობა შირმის დამატებაზე).**უწყვეტი განვითარება:** ვინაიდან სკოლა ახალი რეაბილიტირებულია, პერიოდული შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის თავისებურებების დასადგენად და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის შესანარჩუნებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულები;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;
- ექიმთან გაფორმებული ხელშკრულება;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. სკოლა ფუნქციონირებს ახლად რეაბილიტირებულ შენობაში, რომლის ფართობი და აღჭურვილობა ოპტიმალურია როგორც არსებული (153), ისე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის (220) მოსწავლეთა მისაღებად. ინფრასტრუქტურის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი:

   სივრცითი მოწყობა: სკოლის სამსართულიანი შენობა ფუნქციურად სწორადაა დაგეგმარებული. პირველ სართულზე თავმოყრილია აქტიური ზონები (სპორტული და სააქტო დარბაზები, სასადილო), მეორე სართული ეთმობა ადმინისტრაციულ და სარეზურსო ოთახებს, ხოლო მესამე სართული ორიენტირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზაზე (ლაბორატორიები). **ინკლუზიური გარემო:** განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შენობა სრულად ადაპტირებულია. შშმ პირთათვის განკუთვნილი სველი წერტილები განთავსებულია სამივე სართულზე, რაც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის ნებისმიერ წერტილში. ფუნქციონირებს სპეციალურად აღჭურვილი რესურსოთახი სსსმ მოსწავლეებისთვის. **სამეცნიერო და ტექნოლოგიური ბაზა:** სკოლას გააჩნია თანამედროვე საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, რაც აუცილებელი პირობაა კურიკულუმით განსაზღვრული პრაქტიკული უნარების განსავითარებლად.**რესურსების შესაბამისობა:** სკოლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერი ადასტურებს მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებას ავტორიზაციის ვადით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა წარადგენს

შესაბამისობის გეგმას (2026 წლის ბოლომდე), არსებული მატერიალური ბაზა უკვე იძლევა საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის საშუალებას. აღნიშნული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს მყარ გარანტიას სკოლის მისიით გაცხადებული მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთათვის უსაფრთხო, კომფორტული გარემოს შესაქმნელად.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და რესურსები ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით დასტურდება, რომ ყველა ძირითადი და დამხმარე სივრცე ფუნქციურად დატვირთულია და მათზე წვდომა რეგულირებულია სამართლიანი პრინციპებით. სკოლაში არსებული ფოიე, დერეფნები და გამწვანებული ეზო გამოიყენება როგორც რეკრეაციული ზონები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა თავისუფალ კომუნიკაციას. ეს სივრცეები მოწყობილია ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა დაისვენონ და განიმუხტონ სასწავლო პროცესებს შორის. **რესურსების მართვა და გეგმაზომიერება:** სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს ტექნოლოგიურ რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას სხვადასხვა კლასისა და ჯგუფისთვის, რაც გამორიცხავს პროცესების შეფერხებას.

შემოქმედებითი და პრაქტიკული აქტივობები: სკოლაში გამოყოფილია სპეციალური სივრცეები (დარბაზი, ხელოვნების ოთახი), სადაც მოსწავლეები ახორციელებენ პრაქტიკულ სამუშაოებს. ეს ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი კომპონენტების რეალიზებას. ბიბლიოთეკა და სამედიცინო კაბინეტი ღიაა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ბიბლიოთეკის რესურსი გამოიყენება როგორც სასწავლო, ისე კლასგარეშე აქტივობებისთვის. ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა, რომ ყველა საერთო სარგებლობის სივრცე არის მოწესრიგებული, განათებული და პასუხობს ჰიგიენურ ნორმებს, რაც ქმნის მიმზიდველ გარემოს სწავლისა და განვითარებისთვის.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სსიპ ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში საბიბლიოთეკო მომსახურება ორგანიზებულია დოკუმენტურ დონეზე, თუმცა რესურსული და ადმინისტრაციული თვალსაზრისით საჭიროებს მნიშვნელოვან განახლებას. სკოლის მიერ

სკოლას შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკის დებულება“ და სარგებლობის წესი. სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია ფონდების აღრიცხვასა და მკითხველთა მომსახურებაზე.

წიგნადი ფონდი და რესურსები: ბიბლიოთეკაში დაცულია სასკოლო სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. თუმცა, ფონდების ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ **წიგნადი ფონდი მოძველებულია** და ნაკლებად პასუხობს თანამედროვე მოსწავლეთა ინტერესებსა და სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს. ახალი ლიტერატურის რაოდენობა მწირია. შემოწმების პროცესში **დაფიქსირდა ხარვეზები** საბიბლიოთეკო ერთეულების დამუშავების კუთხით — **წიგნების ნაწილს არ აღენიშნება სკოლის ბეჭედი**, რაც არ შეესაბამება საბიბლიოთეკო საქმის წარმოების დადგენილ სტანდარტს და ართულებს ფონდების ინვენტარიზაციას. **ხელმისაწვდომობა:**

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების მიერ დაწერილი ხარვეზი და ახალ შესაბამისობის გეგმაში ა[ნიშნა, რომ საკითხი მოგვარებულია. 10.05.2026 წელი.

მიუხედავად რესურსული სიმწირისა, ბიბლიოთეკა ღიაა სასკოლო საზოგადოებისთვის და მოსწავლეებს აქვთ წვდომა არსებულ მასალებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებილია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში შექმნილია სრულფასოვანი ინკლუზიური გარემო, რაც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას განათლებაზე ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

სკოლის შენობა სრულადაა ადაპტირებული. ფუნქციონირებს **ლიფტი**, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა შეუფერხებელ გადაადგილებას სამივე სართულზე. ასევე, ყოველ სართულზე განთავსებულია საგანგებოდ მოწყობილი, სტანდარტების **შესაბამისი ადაპტირებული სველი წერტილები.**

სკოლაში მოქმედებს სპეციალურად მოწყობილი **რესურსოთახი**, რომელიც აღჭურვილია სათანადო დიდაქტიკური მასალითა და ინვენტარით. აღნიშნული სივრცე საშუალებას აძლევს სპეციალურ მასწავლებელს, იმუშაოს მოსწავლეებთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ინფრასტრუქტურული მოწყობა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა სოციალიზაციასა და მათ სრულფასოვან ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სასადილო) ასევე ხელმისაწვდომია მათთვის.ადაპტირებული გარემო შექმნილია უსაფრთხოების ნორმების დაცვით, რაც მნიშვნელოვანია მშობელთა ნდობისა და მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის

ასამაღლებლად. ვიზუალური დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ სკოლა სრულად აკმაყოფილებს ინკლუზიური გარემოსთვის დადგენილ სტანდარტებს, რაც მაღალმთიანი რეგიონის სკოლისთვის განსაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სსიპ ლენტეხის N1 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურული მოწყობა ხელს უწყობს დაწესებულების გარდაქმნას მრავალფუნქციურ სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლის ფიზიკური გარემო ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიურ შედეგებზე, არამედ მოსწავლეთა სოციალიზაციასა და სასკოლო საზოგადოების ერთიანობაზე.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- **მრავალფუნქციური სივრცეები:** სკოლას გააჩნია სააქტო და სპორტული დარბაზები, რომლებიც იძლევა კულტურული ღონისძიებების, გამოფენებისა და სპორტული შეჯიბრებების ჩატარების შესაძლებლობას. ეს სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის სხვადასხვა სოციალური ინიციატივის განსახორციელებლად.
- **რეკრეაციული პოტენციალი:** სკოლის შენობის შიდა რეკრეაციული ზონები (ფოიე და დერეფნები) და **გამწვანებული ეზო** ქმნის კომფორტულ გარემოს არაფორმალური განათლებისა და კომუნიკაციისთვის. გამწვანებული ეზო განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოსწავლეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და დასვენებაში.
- **საზოგადოებრივი ცენტრი:** სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას, რომ დაწესებულება გახდეს დაბის სოციალური ცხოვრების ეპიცენტრი, სადაც მშობლებს, მოსწავლეებსა და პედაგოგებს აქვთ საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანების შესაძლებლობა.
- **განვითარების პერსპექტივა:** სკოლას გაცნობიერებული აქვს არსებული ინფრასტრუქტურის პოტენციალი და გეგმავს სივრცეების კიდევ უფრო მეტ კეთილმოწყობას, რაც ხელს შეუწყობს სოციო-კულტურული ფუნქციის გაძლიერებას.

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს მიმზიდველი და ღია გარემოს შექმნაზე, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაციის შედეგები;
- ბიბლიოთეკის დებულება.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა პასუხობს ადმინისტრაციული მართვისა და სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას, სრულფასოვნად განხორციელდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ისტ-კომპონენტები.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი მონაცემები:

კომპიუტერული აღჭურვილობა: სკოლის მფლობელობაშია სულ 30 კომპიუტერული ერთეული(23 პერსონალური კომპიუტერი და 7 ლეპტოპი). აღნიშნული რაოდენობა სრულიად ადეკვატურია მოსწავლეთა არსებული კონტინგენტისთვის. კომპიუტერული ლაბორატორია გამართულია და მოიცავს 21 ერთეულ ტექნიკას, რაც უზრუნველყოფს კლასის ერთდროულ მუშაობას ციფრულ გარემოში. სკოლის ადმინისტრაცია და პერსონალი აღჭურვილია საჭირო ტექნიკით (ლეპტოპები, პრინტერები, სკანერები), რაც აუცილებელია ელექტრონული საქმისწარმოების, e-School ბაზების მართვისა და სასწავლო მასალების მოსამზადებლად. სკოლას გააჩნია

მულტიმედიური რესურსი (პროექტორი), რაც გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში ვიზუალური მასალების დემონსტრირებისა და პრეზენტაციებისთვის. პროექტორი დგას სააქტო დარბაზშიც.

ინტერნეტ-კავშირი: სკოლის მთელი ტერიტორია ნაწილობრივ დაფარულია ინტერნეტ-ქსელით, რაც საშუალებას იძლევა, სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეებში გამოყენებული იქნას ონლაინ საგანმანათლებლო რესურსები.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სსიპ ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით, რაც უზრუნველყოფს ტექნიკური აღჭურვილობის ოპტიმალურ და ხელმისაწვდომ გამოყენებას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. **რეგულირებული წვდომა:** სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს ლაბორატორიაში მუშაობის პირობებს, უსაფრთხოების ნორმებსა და პრიორიტეტებს, რაც გამორიცხავს რესურსების ქაოსურ გამოყენებას.

პედაგოგებს აქვთ თავისუფალი წვდომა სკოლის მფლობელობაში არსებულ ლეპტოპებსა და პერსონალურ კომპიუტერებზე. სკოლას ლეშტოპები გადაეცა “ახალი სკოლის მოდელის” ფარგლებში. სადაც მასწავლებლები კურიკულუმებზე აქტიურად მუშაობდნენ. საგნობრივი პროგრამების მიზნების მისაღწევად ისინი აქტიურად იყენებენ პროექტორსა და სხვა ციფრულ მოწყობილობებს, რაც ხელს უწყობს სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებას.

კომპიუტერული ლაბორატორია ღიაა მოსწავლეებისთვის როგორც ისტ-ის გაკვეთილების დროს, ისე სხვადასხვა პროექტებზე მუშაობის პროცესში, რაც ხელს უწყობს მათ ციფრული კომპეტენციების განვითარებას. **ინფრასტრუქტურული მზაობა:** რადგან სკოლა ახალი რეაბილიტირებულია, ტექნოლოგიური კაბინეტი განთავსებულია შესაბამის სივრცეში, სადაც დაცულია განათებისა და ვენტილაციის ნორმები, რაც კომპიუტერთან მუშაობას უსაფრთხოსა და კომფორტულს ხდის.

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა ტექნოლოგიებს განიხილავს არა მხოლოდ როგორც დამხმარე საშუალებას, არამედ როგორც საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელ ნაწილს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა .
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).
- საგაკვეთილო ცხრილი (ისტ-ის გაკვეთილების ნაწილში);
- ინტერვიუ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ტექნიკის ხელმისაწვდომობის შესახებ

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში საქმისწარმოების პროცესი ორგანიზებულია საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ნორმატიული აქტების ზედმიწევნითი დაცვით. სკოლამ წარმოადგინა მყარი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს დოკუმენტბრუნვის სისტემურობასა და გამჭვირვალობას.

სკოლაში მოქმედებს **„საქმისწარმოების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტების მომზადების, გაფორმების, რეგისტრაციისა და მოძრაობის ერთიან სტანდარტს. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს სკოლის მმართველობითი საქმიანობის სამართლებრივ გამართულობას. საქმისწარმოების პროცესს მართავს კვალიფიციური საქმისმწარმოებელი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შრომით ხელშეკრულებასა და სამუშაო აღწერილობაში. ის პასუხისმგებელია სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვაზე, კორესპონდენციის მართვასა და მოსწავლეთა მოძრაობასთან დაკავშირებული პროცედურების (მობილობა, სტატუსის ცვლილება) ადმინისტრირებაზე. დანერგილია დოკუმენტების შესრულების ვადების კონტროლის სისტემა, რაც გამორიცხავს ადმინისტრაციულ შეფერხებებს. საქმისწარმოების წესი ასევე არეგულირებს დოკუმენტების შენახვისა და არქივისთვის მომზადების ეტაპებს, რაც მნიშვნელოვანია საარქივო კანონმდებლობის დაცვის კუთხით.

ელექტრონული და მატერიალური წარმოება: სკოლა აქტიურად იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ შეთავაზებულ პლატფორმებს (**e-School**, **eFlow**), რაც აჩქარებს ინფორმაციის გაცვლასა და უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს.

საქმეთწარმოებელთან გასაუბრებისას და ვიზუალური დათვალიერებისა და დოკუმენტაციის შერჩევითი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბრძანებების, ოქმებისა და ჟურნალების წარმოება ხდება დადგენილი ფორმატების დაცვით, რაც სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტთან.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში მართვის პროცესები სრულად დიგიტალიზებულია. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების მართვა ეფუძნება თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. **ელექტრონული დოკუმენტბრუნვა (eFlow):** სკოლა ოფიციალურ მიმოწერასა და შიდა დოკუმენტბრუნვას ახორციელებს **eFlow** სისტემის მეშვეობით. აღნიშნული პლატფორმის გამოყენება უზრუნველყოფს დოკუმენტების სწრაფ მიმოცვლას, ვადების კონტროლსა და არქივირების გამარტივებულ პროცესს. ყველა ოფიციალური დოკუმენტი გატარებულია აღნიშნულ სისტემაში. **საგანმანათლებლო ბაზების მართვა (eSchool):** სკოლა აქტიურად იყენებს **eschool.emis.ge**-ის ერთიან ბაზას, სადაც სისტემატიზებულია სკოლის ძირითადი ინფორმაცია: პერსონალის მონაცემები, მოსწავლეთა და მშობელთა საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნული ბაზის მეშვეობით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის ცვლილებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესები, რაც გამორიცხავს ტექნიკურ ცდომილებებს. **პასუხისმგებელი პირები:** ელექტრონულ ბაზებთან მუშაობა დელეგირებულია საქმეთამმართველსა და საინფორმაციო მენეჯერზე, რომელთაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და წვდომის უფლება, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცულობასა და მართვის უწყვეტობას. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას აძლევს სკოლას, მინიმალურ დროში მოახდინოს რეაგირება ზემდგომი ორგანოების (სამინისტრო, რესურსცენტრი) მოთხოვნებზე და ეფექტურად მართოს შიდა რესურსები. სკოლას აქვს საკუთარი ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/groups/672899793850413 , სადაც რეგულარულად იდებასკოლაში განხორციელებული საინტერესო აქტივობები, ღონისძიებები და სიახლეები. აღნიშნული სისტემების გამოყენება მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში მართვის კულტურა მაღალტექნოლოგიურია და სრულ შესაბამისობაშია სახელმწიფო საქმისწარმოების სტანდარტებთან.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის მონაცემები სრულყოფილად არის ასახული ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (**eschool.emis.ge**). სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ დაწესებულების ციფრული პროფილი არის ვალიდური, განახლებადი და პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ანალიზის პროცესში დადასტურდა, რომ სისტემაში შეყვანილია შემდეგი სავალდებულო მონაცემები: სკოლის იურიდიული და საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი და სექტორი. **ლოკაცია და კომუნიკაცია:** ზუსტი მისამართი და სრულყოფილი საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს სკოლის ხელმისაწვდომობას გარე მომხმარებლებისა და მაკონტროლებელი ორგანოებისთვის.

საინფორმაციო ბარათში ასახული ყველა ველი შევსებულია ჯეროვნად, რაც მნიშვნელოვანია განათლების სისტემის ერთიანი დაგეგმვისა და მართვისათვის.

მონაცემთა მართვა: სკოლის პროფილის ადმინისტრირებას ახორციელებს უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მუდმივ განახლებას (მაგ: საკადრო ცვლილებები, მოსწავლეთა კონტინგენტის დინამიკა და სხვ.). სრულყოფილი პროფილის არსებობა სისტემაში ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს სკოლის შესახებ ზუსტი მონაცემების არსებობას ერთიან სახელმწიფო რეესტრში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლა ავლენს მაღალ პასუხისმგებლობას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რესურსცენტრი, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვ.) თანამშრომლობის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს კომუნიკაციის მაღალ კულტურასა და დოკუმენტბრუნვის სიზუსტეს.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები: სკოლა სისტემატურად და დადგენილ ვადებში აწვდის მოთხოვნილ ანგარიშებსა და ინფორმაციას შესაბამის უწყებებს. ეს მოიცავს როგორც სტატისტიკურ მონაცემებს, ისე შინაარსობრივ ანგარიშებს სასწავლო პროცესისა და სკოლის მართვის შესახებ. **კორესპონდენციის მართვა:** სკოლაში არსებული შემოსული და გასული კორესპონდენციის ჟურნალები (მატერიალური და ელექტრონული - **eFlow**) ადასტურებს, რომ ყველა მოთხოვნა რეგისტრირდება და მათზე რეაგირება ხდება დროულად. არ ფიქსირდება ვადების გადაცილების ან ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდების შემთხვევები.

უკუკავშირის მექანიზმი: სკოლა აქტიურად მონაწილეობს მარეგულირებელი უწყებების მიერ ინიცირებულ გამოკითხვებში, კონსულტაციებსა და სამუშაო შეხვედრებში, რაც უზრუნველყოფს ორმხრივ უკუკავშირსა და სისტემურ განვითარებაში წვლილის შეტანას. სკოლის ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, რაც ხელს უწყობს ნორმატიული აქტების სწორ ინტერპრეტაციასა და იმპლემენტაციას სკოლის დონეზე. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა არის გამჭვირვალე და საიმედო პარტნიორი სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, რაც აუცილებელი პირობაა ავტორიზაციის სტანდარტის შესასრულებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.
- ინტერვიუ საქმისმწარმოებელთან და დირექტორთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სკოლა აქტიურად იყენებს როგორც სახელმწიფოებრივ პლატფორმებს, ისე პოპულარულ სოციალურ ქსელებს. **ოფიციალური ვებ-გვერდი (skolebi.emis.ge):** სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შეთავაზებულ ერთიან პლატფორმას, სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ ძირითადი მონაცემები. აღნიშნული რესურსი წარმოადგენს სკოლის ოფიციალურ სავიზიტო ბარათს ციფრულ სივრცეში.

   სოციალური მედია: სკოლას აქვს ოფიციალური **Facebook-გვერდი**, https://www.facebook.com/groups/672899793850413 რომელიც წარმოადგენს საზოგადოებასთან ოპერატიული კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტს. გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასკოლო ღონისძიებების, მოსწავლეთა მიღწევებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს მშობელთა ჩართულობასა და თემის ინფორმირებულობას.

   სკოლა აქტიურად იყენებს კორპორაციულ ელექტრონულ ფოსტას (Lentekhi1@mes.gov.ge), როგორც ოფიციალური მიმოწერისა და დოკუმენტური უკუკავშირის საშუალებას მარეგულირებელ უწყებებთან და სხვა ორგანიზაციებთან.

   ინფორმაციის საჯაროობა: სკოლაში დანერგილი მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სკოლის მისიის, პრიორიტეტებისა და მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების შესახებ. სკოლა მიზნობრივად და გამჭვირვალედ წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში ინფორმაციის საჯაროობა და სანდოობა მართვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულება პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერი ტიპის მონაცემის გავრცელებას, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, სასკოლო კალენდრისა და მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ არის უტყუარი და ეფუძნება სკოლაში არსებულ სამართლებრივ აქტებს. საინფორმაციო არხების მართვაზე პასუხისმგებლობა დელეგირებულია სკოლის დირექციასა და შესაბამის სპეციალისტზე. ინფორმაციის გავრცელებამდე ხდება მისი შინაარსობრივი გადამოწმება, რაც გამორიცხავს მცდარი ან ორაზროვანი მონაცემების გამოქვეყნებას. სკოლის ვებ-გვერდზე (skolebi.emis.ge) ხელმისაწვდომია სკოლის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას, მიიღოს სარწმუნო ინფორმაცია სკოლის სამართლებრივი სტატუსისა და შიდა რეგულაციების შესახებ. სკოლა ავლენს კორექტულობას და ობიექტურობას საზოგადოებასთან ურთიერთობისას, რაც გამოიხატება მხოლოდ დადასტურებული ფაქტებისა და შედეგების (მაგ: მოსწავლეთა აკადემიური წარმატებები, ინფრასტრუქტურული სიახლეები) პოპულარიზაციაში. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს და უზრუნველყოფს სკოლის, როგორც სანდო საგანმანათლებლო ინსტიტუციის, პოზიციონირებას.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში დანერგილია უკუკავშირის მიღებისა და ანალიზის სისტემა, რომელიც ხარისხის მართვის ციკლის (PDCA) განუყოფელი ნაწილია. სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს საზოგადოების განწყობების შესასწავლად და მიღებულ ინფორმაციას გარდაქმნის კონკრეტულ განვითარების გეგმებად. **კვლევაზე დაფუძნებული მართვა:** სკოლის მიერ ჩატარებული კვლევა **შეფასების მოდელის შერჩევასთან** დაკავშირებით ადასტურებს, რომ ადმინისტრაცია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების აზრს ისეთ ფუნდამენტურ საკითხზე, როგორიც მოსწავლეთა შეფასების სისტემაა. მიმდინარე კვლევა **მოსწავლეთა ტრანზიციის** (საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა) შესახებ მიუთითებს სკოლის ზრუნვაზე მოსწავლეთა აკადემიურ და ფსიქოლოგიურ ადაპტაციაზე, რაც პირდაპირ კავშირშია სწავლების ხარისხთან. პედაგოგთა საჭიროებების კვლევა და ანალიზი საშუალებას აძლევს სკოლას, დაგეგმოს მიზნობრივი ტრენინგები და მხარდაჭერის ღონისძიებები, რაც საბოლოოდ აისახება საგაკვეთილო პროცესის ეფექტიანობაზე. სკოლა უკუკავშირს იღებს როგორც ფორმალური (გამოკითხვები, ანკეტირება), ისე არაფორმალური არხებით (Facebook-კომენტარები, მშობელთა შეხვედრები), რაც უზრუნველყოფს მონაცემთა რეპრეზენტატულობას.

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა არის "სწავლობადი ორგანიზაცია", რომელიც მუდმივად ახდენს საკუთარი საქმიანობის რევიზიას გარე და შიდა უკუკავშირის საფუძველზე.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას ოფიციალური ციფრული პლატფორმის მეშვეობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დაწესებულების შესახებ ძირითადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია სახელმწიფო ენაზე.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები: სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ ადმინისტრირებულ პორტალს — **skolebi.emis.ge**, სადაც სკოლას აქვს თავისი ოფიციალური გვერდი. აღნიშნული გვერდი არის მოქმედი და მუდმივად ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სრულად არის წარმოდგენილი ქართულ ენაზე, რაც პასუხობს „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. გვერდზე მოცემულია სკოლის საიდენტიფიკაციო მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას.მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია **skolebi.emis.ge**-ზე, (https://skolebi.emis.ge/schools/1542?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%20%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%961%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90) სკოლა მასთან კომბინაციაში იყენებს სოციალურ ქსელებსაც, რაც აფართოებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის არეალს.

ვინაიდან სკოლა საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე, ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსია სრულად უზრუნველყოფს ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,**

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სსიპ ლევან ლიპარტელიანის სახელობის დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის ოფიციალური ციფრული პლატფორმა (**skolebi.emis.ge**) და მასთან ინტეგრირებული საკომუნიკაციო არხები წარმოადგენს ინფორმაციის სრულყოფილ წყაროს. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დაწესებულება მაქსიმალურად უზრუნველყოფს საჯაროობასა და გამჭვირვალობას.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია შემდეგი საკვანძო ინფორმაცია: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც ნათლად გამოხატავს სკოლის ორიენტირებს. ასევე, წარმოდგენილია სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა. ხელმისაწვდომია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებს. საჯაროა სკოლის სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული მიზნები, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოებას, თვალი ადევნოს სკოლის განვითარების დინამიკას. სრულყოფილადაა მოცემული საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) ოპერატიული კავშირისთვის.
ზემოაღნიშნული ინფორმაციის სისტემური განთავსება ადასტურებს, რომ სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება საზოგადოების ინფორმირების ვალდებულებას და ქმნის სანდოობის მაღალ ხარისხს.
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- o მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
- o სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- o სკოლის ვებ.-გვერდიშეფასება:
- • სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდის (**skolebi.emis.ge**) სტრუქტურისა და შინაარსის დათვალიერება;
- • Facebook-გვერდზე განთავსებული საჯარო დოკუმენტაცია;
- • სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები (ელექტრონული ვერსიები);
- • ინტერვიუ საინფორმაციო მენეჯერთან.
- o

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

   სსიპ ლენტეხის N1 საჯარო სკოლის ფინანსური მართვა ორიენტირებულია დაწესებულების სტაბილურ ფუნქციონირებასა და სამოქმედო გეგმით დასახული პრიორიტეტების რეალიზებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით დასტურდება, რომ ფინანსური რესურსების დაგეგმვა და განკარგვა ხდება გამჭვირვალედ, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. სკოლის ბიუჯეტის ფორმირება ხდება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილების შესაბამისად, რაც გულისხმობს ვაუჩერულ დაფინანსებას. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაციული და სასწავლო ხარჯების (ხელფასები, კომუნალური ხარჯები, ინვენტარი) მყარ დაფარვას.

   კავშირი სტრატეგიულ მიზნებთან: სკოლის ბიუჯეტი არ არის მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი; იგი პირდაპირ კავშირშია სამოქმედო გეგმასთან. ფინანსური რესურსი მიზნობრივად მიემართება ისეთ აქტივობებზე, როგორიცაა სასწავლო რესურსების განახლება, მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება.

   მოსწავლეთა არსებული კონტინგენტისა (153 მოსწავლე) და სკოლის სტატუსის (მაღალმთიანი რეგიონი) გათვალისწინებით, სკოლა ინარჩუნებს ფინანსურ ბალანსს, რაც საშუალებას იძლევა, შეუფერხებლად წარიმართოს საგანმანათლებლო პროცესი ავტორიზაციის ვადით. სკოლაში ფინანსური ოპერაციები ხორციელდება ელექტრონული საბუღალტრო სისტემების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს და ანგარიშვალდებულებას სახელმწიფო უწყებების წინაშე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს ფინანსური მდგრადობის კრიტერიუმს, რაც წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიანად განხორციელების ფუნდამენტს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სსიპ ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში ფინანსური რესურსების მართვა ეფუძნება კანონშესაბამისობის, გამჭვირვალობისა და კოლეგიურობის პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააჩნია ფინანსური ციკლის მართვის ჩამოყალიბებული მექანიზმი. **დაგეგმვა და შეთანხმება:** ბიუჯეტის პროექტის მომზადება ხდება სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის განკარგვა ხორციელდება **სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით**, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და დემოკრატიულ კონტროლს. ფინანსური სახსრების ხარჯვა მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული მუხლების მიხედვით. სკოლა ახორციელებს ფინანსურ ანგარიშგებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც მოიცავს როგორც პერიოდულ საბუღალტრო ანგარიშებს, ისე შესრულების ანგარიშის წარდგენას შესაბამის ფინანსურ სამსახურებში.

სკოლის დირექცია და ბუღალტერია მუდმივად აკონტროლებენ სახსრების მიზნობრივ ხარჯვას. ფინანსური დოკუმენტაცია წარმოებს მოწესრიგებულად, რაც იძლევა ნებისმიერ ეტაპზე ხარჯების აუდიტისა და გადამოწმების შესაძლებლობას. ფინანსური მართვის სისტემა მორგებულია სკოლის პრიორიტეტებზე, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების (მაგ: საგანმანათლებლო რესურსების შეძენა, ინფრასტრუქტურის მოვლა) ფინანსურ მხარდაჭერას.აღნიშნული სისტემა იძლევა გარანტიას, რომ სკოლის ფინანსური რესურსები გამოიყენება ეფექტურად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები ბიუჯეტის შეთანხმების შესახებ;
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაცია;
- ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში;
- ინტერვიუ ბუღალტერთან და სამეურვეო საბჭოს წევრებთან.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად შექმნილი და გამოყენებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორებიცაა: სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, რეფერირების შიდა ინსტრუქციის გეგმა. ამ დოკუმენტების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლეთა უფლებისა და გარანტიების დაცვა. სკოლის შინაგანაწესს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობენ სკოლის მიერ ორგანიზებულ მშობელთა და მოსწავლეთა კრებებზე, ასევე დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლისა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსების დაცვას. სკოლას, დამრიგებლების საშუალებით, აქტიურად მუშაობს მშობელთა ინფორმირების საკითხებზე. მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა სასკოლო და საკლასო პროექტებში. ყველა დოკუმენტი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სურვილის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს ინფორმაციას. სკოლაში მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა და გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლას შემუშავებული აქვს ადაპტაციის, გასაჩივრების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, მოსწავლეთა ჩარიცხვის, სტატუსის აღდგენის, უცხოეთში მიღებული განათლების აღაირების წესები, რითაც უზრუნველყოფილია მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა და აქტიური მონაწილეობა

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ, დამრიგებლების მეშვეობით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის წესების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესების შესახებ. კლასის საათის განმავლობაში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს სკოლის შინაგანაწესს, ბავშვთა უფლებებს და სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს; კლასების დამრიგებლები რეგულარულად მართავენ მშობელთა კრებებს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა სამუშაო კვირის ბოლო დღეს შეხვდნენ სკოლის წარმომადგენლებს და მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხებზე დეტალური ინფორმაცია. სკოლის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები ემსახურება მოსწავლის უფლებების რეალიზებისთვის გარანტიების შექმნას. მათ შორის სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სკოლის პორტალზე. სრულწლოვან მოსწავლეს ან არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს თავისი უფლებების დაცვის მიზნით შეუძლია, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო გადაწყვეტილებები. დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში განხორციელებული დისციპლინური დევნის პროცედურა ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. საჩივარს განიხილავს დირექტორი და საჭიროების შემთხვევაში მას გააცნობს დისციპლინურ კომიტეტს. სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრების განხილვის წესი. სკოლა ყველა ახალ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს/მშობელს აცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

მოსწავლეთა უფლებებისა და რეგულაციების ამსახველი დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია სკოლის შენობაში, ყველასთვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას. ზემოაღნიშნული დასტურდება მშობელთა და მოსწავლეებთან ინტერვიუების დროსაც.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლას, მოსწავლეთა მშობლებთან, კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით ექსპერთა ჯგუფი გაეცნო სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეთა ხელშეკრულებებს. ხელშეკრულებები გამჭვირვალეა და შემუშავებულია კანონმდებლობის შესაბამისად. მათში გაწერილია მხარეთა ვალდებულებები, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი. ცალკე ხელშეკრულებებშია აღრიცხული სახელმძღვანელოების მიღებია-ჩაბარების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტაცია ინახება მოსწავლეთა პორტფოლიოებში. ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და ემსახურება მოსწავლის ხარისხიანი განათლების მიღებას

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დან.11- შინაგანაწესი
- დან.15- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დან.29 - წიგნების მიღება-ჩაბარება
- დან.39- დამრიგებლის პორთფოლიო (სადამრიგებლო საათის გეგმა)
- მშობელთა კრების ოქმები
- დისციპლინური კომიტეტის დებულება
- ადაპტაციის წესი
- დან.27-დამრიგებლის მუშაობის დებულება
- გასაჩივრების წესი
- საინფორმაციო დაფა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანების შესაბამისად- სკოლა განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. საფეხურის დაძლევის წესი განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმას. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება აგრეთვე მობილობის წესიც. საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლე დადგენილი

წესით რეგისტრაციას გადის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ ირიცხება სკოლაში.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლის ტრანზიციის გეგმა", რომლითაც არეგულირებ მომავალ პირველკლასელთა, ახალ მოსწავლეთა ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხსა და პროცედურას. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს კანონის შესაბამისად. დაინტერესებული პირს ეცნობება ინფორმაცია პროცედურებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ უშუალო პასუხისმგებელი პირის მეშვეობით. ჩარიცხვა ხორციელდება მშობელთა განცხადების საფუძველზე დირექტორის ინდივიდუალურსამართლებრივი აქტით. სტატუსის შეწყვეტისას მშობელს ეცნობება წინასწარ. მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ წარმოსადგენი დოკუმენტაცია საჯაროა და განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ სხვადასხვა საინფორმაციო არხიდან (მაგ; სკოლის სოციალური გვერდი, საინფორმაციო დაფა და ა.შ). მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მოსწავლის უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს სკოლაში დარეგულირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესითა და სკოლაში შემუშავებული სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, სხვადასხვა ღონისძიებებისა და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. განცხადებები იკვრება საინფორმაციო სტენდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქის გვერდზე. ლენტეხის საჯარო სკოლში ფუნქციონირებს სტემ კლუბი. სხვა, ფასიანი ტიპის მომსახურებებს სკოლა ამ ეტაპზე არ აწარმოებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სრვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია შეთანხმებული, გადამოწმებულია სკოლის დირექციასთან. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია

ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. მშობელთა გამოკითხვისას ნათლად ჩანდა რომ სწორი და დროული კომუნიკაცია სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. სკოლას ინფორმაცია განთავსებული აქვს ასევე საინფორმაციო დაფასა და სოციალურ ვებ-გვერდებზეც. დამრიგებლები აქტიურად მართავენ მშობელთა კრებებს, ან იყენებენ ჯგუფურ მიმოწერებს სხვადასხვა სიახლის მოსწავლეებისათვის თუ მათი წარმომადგენლებისთვის გასაზიარებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- მოსწავლის ტრანზიციის გეგმა
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი.
- მშობელთა კრების ოქმები;
- ინტერვიურება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის ზრუნვა თითოეულ მოსწავლეზე ჩანს სხვადასხვა სახის აქტივობებსა და დოკუმენტაციაში. სკოლა ხელს უწყობს თითოეული ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციას არსებულ სასწავლო გარემოსთან, სკოლას აქვს გაწერილი ტრანზიციის მექანიზმების დოკუმენტი. სკოლის ყველა კლასის დამრიგებელი ახალ მოსწავლეს წარუდგენს კლასს, ამატებს მათ დახურულ სამუშაო ჯგუფებში. აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს, სკოლასა და მშობელს შორის ფორმდება ხელშეკრულება. სკოლის მოსწავლის მშობელსა და ახალჩარიცხულ მოსწავლეს სკოლა აცნობს სკოლის გეოგრაფიასა და ისტორიას, თითოეული კაბინეტის განლაგებას და საერთო სარგებლობის სივრცეებით გამოყენების წესებს. ამ მიზნით მჭიდრო კონტაქტი აქვთ ახლომდებარე სკოლამდელ დაწესებულებასთან.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. პირველკლასელებს ხვდებიან საზეიმო ვითარებაში. დამრიგებლები აცნობენ მათ სკოლის შენობას, საერთო სივრცეებით სარგებლობის წესებს. კლასის საათის/საგაკვეთილო თემატიკის შესაბამისად მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა უკეთ გაცნობასა და დამეგობრებას. ვიზიტის დროს, გასაუბრებისას, ყველა მოსწავლე ერთხმად აღნიშნავდა, რომ სკოლაში მეგობრული და კეთილგანწყობილი გარემოა.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია მხადაჭერის მიზნით. ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/კურიკულუმით. სასკოლო სივრცეში პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა იმ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით დამატებით მხარდაჭერას საჭიროებენ. მოსწავლეთა მცირე ოდენობა კლასებში ამ პროცესების წარმართვას კიდევ უფრო აიოლებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დამრიგებლები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებს პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებს კლასის კრებაზე აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებს. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. მაგალითად მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. ასევე მოსწავლეს უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, რომლის შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი. ეს აქტი უნდა გაეცნოს მშობელს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. ასევე, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა საჭიროებისამებრ აწვდის ინფორმაციას. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით დგინდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის, გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. აღნიშნული ბრძანება გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში გამოიცემა მოსწავლეთა საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის, შესაბამისი აქტი, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ამორიცხვის შესახებ ბრძანებები.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, კლუბების, წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება, გასვლითი გაკვეთილების და მიზნობრივი ექსკურსიების დაგეგმვა. სკოლაში ამ ეტაპზე არის 2 მასწავლებელი, რომელთაც აქვთ შესაბამისი განათლება, თუმცა სტატუსი მოპოვებული არ აქვთ. სკოლის დირექცია მაქსიმალურად ხელს უწყობს არსებულ კადრებს განვითარებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს სტემ კლუბი. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩეული და მიღებულია კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. უნდა აღინიშნოს რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს დაგვაკლდა

თვითმმართველობის წევრების აქტიურობა. რათქმაუნდა დაასახელეს ინიციატივები და შეთავაზებები, რომლებიც სკოლასა თუ ადგილობრივ ორგანიზაციებს წარუდგინეს, თუმცა მცირე რაოდენობით.

რჩევა: მნიშვნელოვანია, სკოლამ ხელი შეუწყოს, მოსწავლეთა მეტად გააქტიურებას და დამატებითი/არაფორმალური აქტივობების უფრო აქტიურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიმართულებაა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. ამ მიზნით სკოლას დაგეგმილი აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით. სხვადასხვა საგანში დიაგნოსტიკური წერების ჩატარება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1 წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა.
- კლუბის დებულება
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- სამოქმედო გეგმა
- ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას პროფესიული ორიენტაციის შესახებ. კერძოდ, აწვდის ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებზე. დამრიგებლები კლასის საათის ფარგლებში მუშაობს პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე და პროფესიების მიხედვით ინტერესების წარმოჩენაზე.

რჩევა: სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს აღნიშნული საკითხზე მუშაობას, მითუმეტეს რომ იგი მდებარეობს ძალიან მდიდარი და სპეციფიური კულტურის, ტრადიციებისა და ისტორიის მქონე კუთხეში. აუცილებელია ამ სიმდიდრეების პროფესიებთან დაკავშირება და ბავშვებში სურვილის გაჩენა აითვისონ არსებული რესურსები.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით სკოლა რეგულარულად აწვდის მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაციას სამინისტროს მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, პროფესიული სასწავლებლებისა და პროგრამების თაობაზე - ღია კარის დღე, საგამოცდო ფორმატში ცვლილებები, ახალი პროგრამები, პროფესიულ სასწავლებლებში რეგისტრაციის ვადები.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

დაბა ლენტეხის პირველი საჯარო სკოლა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირებს იღებს მშობლებთან შეხვედრებისას ან „კლასის საათის“ ფორმატში. მომსახურების შეფასებისთვის გამოიყენება მოსწავლეთა/კანონიერ წარმომადგენელთა უკუკავშირები, რომელიც ვიზიტის დროს გასაუბრების ფარგლებშიც მრავლად იყო. ასევე სკოლაში გავეცანით მოსწავლეთა კითხვარებს, რომლებშიც ბავშვები აფასებდნენ სკოლის მუშაობას. გარკვეული მომსახურებების გაუმჯობესებას სკოლის ადმინისტრაცია და სხვა პერსონალი გეგმავს სკოლის ახალ შენობაში გადმოსვლასთან ერთად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმები
- მემორანდუმი კოლეჯ ერქვანთან
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- ვიზიტის ფოტომასალა
- მოსწავლეთა კითხვარები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ისგს-ქმნის ისგ. ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ამ ეტაპზე სკოლაში აღარ არის სპეციალური მასწავლებელი. სკოლას ჰყავს 2სსსმ. მოსწავლე და მათთან მუშაობს მხოლოდ საგნის მასწავლებლები და ინდივიდუალური ასისტენტი. სკოლა ცდილობს და მაქსიმალურად ხელს უწყობს არსებული კადრის კვალიფიკაციის ამაღლებას ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად ეძებს ახალ კვალიფიციურ კადრს.

სკოლაში, რესურს ოთახი, აღჭურვილია ადაპტირებული ავეჯით, საგანმანათლებლო რესურსებით, განმავითარებელი სათამაშოებით, კინეტიკური ქვიშით, ხელნაკეთი რესურსებით და სხვა. ასევე არის სრულიად ადაპტირებული შენობა და საპირფარეშოები.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში ვიზიტის შედეგად დგინდება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ეფექტიანი სასწავლო სტრატეგიის შემუშავება და საგაკვეთილო პროცესში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუჯობესების ხელშეწყობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტს წარმოადგენს. სკოლა მუდმივად ზრუნავს სსსმ მოსწავლე იყოს მთლიანი კლასის განუყოფელი ნაწილი და ჩაერთოს ყველა სახის სასკოლო პროექტში. ამას ადასტურებს მოსწავლეთა ნამუშევრები, მშობელთა გამოკითხვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ. გეგმის ანგარიში
- ინკლუზიური სწავლების პოლიტიკის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ. პირებისათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი
- გასაუბრება
- ინდ.გეგმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საჯარო სკოლiს მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი. ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება ნებაყოფლობითია, შეთანხმებულია და ემსახურება მოსწავლეტა განვიტარების ხელშეწყობას.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

საჯარო სკოლას მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი. ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე და ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროებისამებრ სკოლა ყველა დოკუმენტაციასა თუ ინფორმაციას დროულად აწვდით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი/დებულება, რომელიც არეგულირებს დამატებითი მომსახურების გაწევის წესს.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო	☐ **შეესაბამება**

	☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურეობრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია პედაგოგების, მოსწავლეთა, მშობელთა ინტერესები. კათედრებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მაღალია მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან ყოველდღიური საუბრებით, ასევე მოსწავლებზე დაკვირვებით ხორციელდება.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმი შედგენილია იმგვარად რომ მასში მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერესების გამორკვევას სკოლა ახორციელებს მშობელთა კრებების, კლასის საათების თუ ინდივიდუალური შეხვედრების დროს. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეთა შედეგებეს, აკეთებენ ურთიერთშეფასებებს და გამოვლენილ საჭიროებებს ითვალისწინებენ შემდგომი პროცესების ხარისხიანად დაგეგმვისათვის. მშობელთა ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ სკოლა მაქსიმალურად ითვალისწინებს მათ შეფასებებს.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში ვიზიტის დროს გასაუბრებებზე აღინიშნა, რომ სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლ ო საზოგადოება. გათვალისწინებულია წინარე წლების გამოცდილებები და მოსწავლეთა მიღწევისა და მზაობის დონის შესაბა მისად შედის ცვლილებები არსებულ კურიკულუმებში.კათედრის წევრები ერთობლივად წყვეტენ საჭირო ლიტერატურის არჩ ევას. უთანხმებენ და უზიარებენ ასევე დამატებით ლიტერატურას.

რჩევა: მნიშვნელოვანია კათედრის წევრებს შერჩეული ჰქონდეთ ერთნაირი დიზაინის მქონე ჩარჩო კურიკულუმებისათვის.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის, სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა. სკოლა შეთანხმებულია შეფასების მოდელთან დაკავშირებით და არჩეული აქვს პირველი მოდელი, რაც განმსაზღვრ ელი შეფასების დაწერას ითვალისწინებს საკლასო საშინაო და შემაჯამებელ სამუშაოებში. დამრიგებლები, მშობელთა კრებებე, დახურულ ჯგუფებსა თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე აცნობენ მშობლებს კურიკულუმით დაგეგმილ თემებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- პედსაბჭოს ოქმი კურიკულუმების შემუშავებაზე
- დამრიგებლის დებულება
- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ საკითხების შესასწავლად დაგეგმილია და შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები. საკითხების დასამუშავებლად მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია ცხოვრებისეული/ნაცნობი კონტექსტები, დავალების პირობა მოსწავლეებისთვის მკაფიოს ხდის- რა საკითხის შესწავლას ემსახურება დავალება, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნან და რა ცოდნა უნდა წარმოაჩინონ საკითხთან მიმართებით, ამგვარად, წარმოდგენილი კურიკულუმები მიმართულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე და ორიენტირებულია მოსწავლეზე. კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი კათედრაზე სხვადასხვანაირი იყო, თუმცა პირისპირ შეხვედრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეიმუშავებდნენ ერთნაირ დიზაინს. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრეზე ორიენტირებულია მოსწავლეზე, კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩარჩო დოკუმენტებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. თუმცა, კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი მრავალფეროვანია, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კათედრა იმუშავებს და შეჯერდება საერთო დიზაინზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

	<u>რჩევა:</u> იმისათვის, რომ საგნობრივი კურიკულუმები სრულყოფილად იყოს მოსწავლეზე ორიენტირებულად მორგებული, საჭიროა კათედრამ ყველა კლასში ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო შეიმუშაოს.
უცხოური ენები	წარმოდგენილი უცხოური ენების საგნობრივი პროგრამებიდან ჩანს, რომ ისინი დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე წარმოდგენილი სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და შემოქმედებითი/კომპლექსური ტიპის დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიუკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაწავლისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შეჯამების საფუძველზე, სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც საგნობრივი პედაგოგები იყენებენ სასწავლო წლის დაგეგმვისას. როგორც სახელმწიფო ენის პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს

	საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დაგეგმვის და განვითარების მოდელი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების აქტიურ ჩართვას შემოქმედებით, დამოუკიდებელ, ანალიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობაში. მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო თემები, მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს , რომლის დროსაც ივითარებენ სასწავლო-შემოქმედებით უნარებს. საგნობრივი კურიკულუმები მიმართულია საფეხურის ფარგლებში საგნის გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს. წარმოდგენილ კურიკულუმში მუშავდება

	სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **რჩევა**: სასურველია, კათედრამ ერთობლივად შეიმუშაოს ერთი სახის დიზაინის მქონე კურიკულუმის ჩარჩო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი ყველა სავალდებულო თემა-კლასების მიხედვით. თითოეული თემის ფარგლებში, მუშავდება ყველა ძირითადი საკითხი და ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით, შემოქმედებითი ბუნების დავალებების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ (საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებებისკენ,.) პედაგოგენთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობები

	ემსახურება დავალების კრიტერიუმების თანმიმდევრულ დამუშავებას, დავალების ცალკეული კომპონენტები ითვალისწინებენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და კეთებით სწავლების სტრატეგიებს, ხელს უწყობენ მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების,შემოქმედებითობის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.ძირითადი საკითხების დამუშავებისთვის განსაზღვრულია საკმარისი დრო. ხოლო მთლიანი თემისთვის დათმობილი დრო შესაბამისია სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვისა და სემესტრული განაწილების. **რჩევა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე (I-დან IV კლასების) ბუნებისმეტყველების საგნობრივი წლიური პროგრამების ამსახველ დოკუმენტში-კურიკულუმში ისევე ზუსტად აისახოს თემებისა და სამიზნე ცნებების მჭიდრო კორელაცია საგნობრივ სტანდარტთან, როგორც ეს არის საბაზო/საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მასწავლებელს საშუალებას აძლევს მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც მას უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა და გააკეთოს დასკვნები. ხელისშემწყობ გარემოებად იკვეთება სადამრიგებლო პროგრამებიც.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. გრძელვადიანი მიზნები გაწერილია სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, რომლებიც მიემართება ესგ-ით გათვალისწინებულ საფეხურებრივ შედეგებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის **დაწყებითი**, **საბაზო და საშუალო** საფეხურის კურიკულუმები, წარმოდგენილი თემები, თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები, რესურსები, შემოქმედებითი პროდუქტის, თუ კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას მოსწავლის პროცესში ჩართვისათვის. ყოველივე ეს მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნების, სამიზნე ცნებების და შედეგების მიღწევისკენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კურიკულუმში წარმოდგენილ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები.

	თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.
სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრიორიენტირებს.გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტმაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვითაა.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; სწორად აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა. თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი ყველა სავალდებულო თემა-კლასების მიხედვით. თითოეული თემის ფარგლებში , მუშავდება ყველა ძირითადი საკითხი და ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით, საკითხების დამუშავება დაგეგმილია შემოქმედებითი ბუნების დავალებებით და მათი კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ (საფეხურის შედგებისა და სამიზნე ცნებებისკენ), სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას დაწყეებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი რესურსები შედარებით მცირეა, უმჯობესია გამდიდრდეს მეტი ელექტრონული რესურსით, წარმოდგენილია მეტი

	მატერიალური რესურსი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მეტ ჩართულობას და სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** ბუნებისმეტყველების სამივე საფეხურის კურიკულუმებში რესუსების გრაფაში სასურველია დაემატოს გრძელვადიან მიზნებზე გათვლილი რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, ფილმებს, ილუსტრაციებს, პოსტერის ნიმუშებს, რუკებს და ა.შ. სამწუხაროდ, სკოლა მდიდარი არ არის დამხმარე სასწალო რესურსებით, მაგრამ კურიკულუმის ჩარჩოში ასახულია კომპლექსური დავალებების დამუშავებისათვის დამხმარე რესურსები. აღნიშნული რესურსები მიზნობრივად მიემართება კომპლექსურ დავალებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ კათედრებზე და ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას კონკრეტული მოსწავლის მიღწევების შესახებ, რის შემდეგაც კათედრის წევრები ერთად განიხილავენ თემებს, რესურსების ეფექტიანობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოურ ენების კათედრის კურიკულუმებში ასახულია რესურსები, მათ შორის როგორც ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი — გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი ციფრული რესურსები. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე, **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი რესურსით. კურიკულუმით

	განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც წარმოდგენილია ფოტომასალის სახით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: კურიკულუმი მოიცავს როგორც სახელმძღვანელოს, ასევე, დამატებით ტექსტებს, აუდიო-ვიზუალურ მასალებს, ელექტრონულ რესურსებს, ანიმაციებს, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს. ყველა რესურსი უკავშირდება სამიზნე ცნებებს და შედეგებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით, (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების ან მოსწავლეების მომზადებული მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.)
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით კათედრა ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. დამატებით წარმოდგენილია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რომლებიც შერჩეულია მიზნობრივად და უწყობს ხელს ეფექტურად სასწავლო შედეგების მიღწევას. სკოლას ასევე აქვს ინტერაქტიული დაფა, რომელსაც აქტიურად იყენებენ სხვადასხვა გრაფიკული მოდელებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი HYPERLINK "https://school.emis.ge/" HYPERLINK - https://scratch.mit.edu/, Code.org, 3D Paint, Sway, „ვსწავლოთ თამაშით", PowerPoint, Word, Excel, და სხვა უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სასწავლო პროცესში ორგანიზების სხვადასხვა ფორმის გამოყენების პრაქტიკა (ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილები,), მოსწავლეთათვის თავისუფლების მიცემა აირჩიონ -პროდუქტის ფორმა (პოსტერი, ბუკლეტი, ესე, მოდელი და ა.შ) წარდგინების ფორმა და საშუალება (ზეპირი, წერითი, ელექტრონული, მატერიალური) ასევე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა, მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა თუ სასწავლო ტემპს და ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, თუმცა ასეთი მიდგომები უნდა ჩანდეს შემაჯამებელ დავალებებშიც, რასაც, როგორც მასწავლებლები შეგვპირდნენ, გაითვალისწინებენ შემდგომში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწალო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, ასევე გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ასევე, სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთო ჯამში, მასწავლებლებს აქვთ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. მათ აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რითაც გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლეების სწავლების მიმართ და მათთვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში სხვა საგნებთან ერთად გაწერილი არის აქტივობები ესთეტიკური აღზრდის საგნების მიმართულებით. ***რჩევა:*** მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში პირველად ინფორმაციად უნდა ჩაიწეროს მისი ძლიერი მხარე, რა შეუძლია, რა გამოსდის კარგად და შემდეგ უკვე საგნობრივი მიმართულებით რომელი აქტივობები შეიძლება გამარტივდეს, ჩაიაშალოს, მოერგოს კონკრეტულ ქეისს. აგრეთვე, სასურველია ისგ-ში მუსიკის საგნის ცნებაზე/ცნებებზე დაფუძნებული აქტივობები იყოს შემოთავაზებული. მაგალითად, დაკონკრეტდეს მუსიკის მახასიათებლებთან მიმართებაში, მაგ.: გაავლოს ხაზი ბგერის სიმაღლის, ან ბგერის სიძლიერის, ან ტემბრის მიხედვით და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცერებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, თემები და შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ სასწავლო გარემოს. დოკუმენტაციისა და ინტერვიურების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ

	ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით, ასევე გასაუბრების შედეგებიდან იკვეთება, რომ წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას უწყობს ხელს. მასწავლებელს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ სამივე საფეხურისათვის წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები .

	თემისა და ზოგიერთ შემთხვევაში განხორციელებული კომპლექსური დავალების საკითხთან მიმართებაში წარმოდგენილია შეფასება მკაფიო კრიტერიუმებითა და პედაგოგის უკუკავშირით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგების მიერ გამოგზავნილი რუბრიკების ნაწილი არ არის ცნებებზე ორიენტირებული, არის ზოგადი. დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მოცემულია მოსწავლეთა თვითშეფასების სქემები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგიერთი სხვა ინსტრუმენტი, ორიენირებული გრძელვადიან მიზნებზე, რაც ადასტურებს, რომ სკოლა მუშაობს/აქვს მზაობა სწავლებისას გამოიყენოს/დაარედაქტიროს შეფასების სქემები. □მავე დროს სკოლის პედაგოგებს აქვთ ესგ-ის მიხედვით რუბრიკების შედგენის გამოცდილება, კოლეგებს გაუწევენ შესაბამის დაეხმარებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვეს განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის მნიშვნელობას, სკოლა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს საჭიროებების ზუსტ და დროულ განსაზღვრას შესაბამისი რელევანტური ღონისძიებების დასაგეგმად და ასამოქმედებლად. **რჩევა:** სასურველია კთედრამ შეიმუშაოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. კათედრის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება

	ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ გამოიყენება როგორც განმავითარებელი (I-XII კლასები), ისე განმსაზღვრელი შეფასება (V-XII კლასები). შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ კავშირშია სამიზნე ცნებებთან, ხოლო ინსტრუმენტები ზომავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან მიზნებს და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე წარმოდენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **რჩევა:** მუსიკის საგნის საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში სასურველია, საბაზო საფეხურის ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა და ჟანრი რუბრიკაში გაიწეროს დამოუკიდებლად, თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალური ქულას შეადგენს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, შეიქმნას რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.
მათემატიკა	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრება ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამვირვალობის, სანდოობის და ობიექტურობის პრინციპებს. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებით და უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. მასწავლებელი აქტიურად მუშაობს შეფასების სქემებზე, მას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა. შ. დასასრულს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- მეთოდოლოგია
- ისგ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას, სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობები და გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის განხორციელება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისია. კომპლექსური დავალებები და სამივე სახის ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, მოქმედებასა და ნაბიჯების თანმიმდევრობით დაგეგმვა-განხორციელებასა და შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი **დოკუმენტაციისა და კურიკულუმების** ანალიზით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის კურიკულუმს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ დაგეგმარება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე). გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურ ჯაჭვშია კურიკულუმით განსაზღვრულ შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ და სისტემურ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე,** წარმოდგენილი მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. თემატური ბლოკებსა და თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტების, თუ კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეები, თუმცა არ არის დეტალურად აღწერილი შეფასების კრიტერიუმები ან მეთოდები. შეფასების რუბრიკების ან კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტების დამატება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და ობიექტურობას.
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული მასალის (სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, შემოქმედებითი დავალებები, კათედრის ოქმი, სამოქმედო გეგმა, შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმა) ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საგნის საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. პედაგოგმა დაასახელა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფროვანი პროდუქტის შექმნისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

   სკოლაში მონიტორინგი და შეფასება, მიმდინარეობს შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადები და შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლის პროცესის ხარვეზების გამოვლენას, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს სკოლას რეაგირება მოვახდინოს წამოჭრილ საჭიროებებზე და იმოქმედოს შეასბამისად. სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, საჭიროებებიდან გამომდინარე გადაიხედოს უკვე არსებული კურიკულუმი და მოხდეს მისი ცვლილება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და ზოგადი საჭიროებებიდან გამომდინარე. რაც ასევე გაწერილია კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიაში. კათედრის წევრებთან გასაუბრებს შედეგად ირკვევა, რომ სკოლა რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, მასწავლებლები რეფლექსიის და ანალიზის საფუძველზე გამოკვეთენ საჭიროებას მაგ. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები: განსხვავებული სწავლის სტილი, აკადემიური სირთულეები და მასზე დაყრდნობით შეარჩევენ სასწავლო რესურსებს, სასკოლო / კლასგარეშე აქტივობებს და შემოქმედებითი ტიპის დავალებებს.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, მოსწავლეებისათვის მკაფიოა რა ცოდნის და უნარების წარმოჩინებაა საჭირო კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების

	ინსტრუმენტების, შეფასების კრიტერიუმებისა და ნიშნების დაანგარიშების წესის შესახებ, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში, მასწავლებლის უკუკავშირი და რეფლექსიები, მეტყველებს იმაზე, რომ შეფასების პროცესთან დაკავშირებული საკითხები წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის, სკოლა იყენებს ვერიფიკაციის მექანიზმს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის და ობიექტურობის დასადგენად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასების მიზნით კათედრა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, როგორც ცოდნის, ასევე ფუნქციურ-კომპონენტური უნარებისათვის. ამ ინსტრუმენტთა გამოყენებით მასწავლებლები თვალს ადევნებენ მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი წლის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. თუმცა კათედრას დასახვეწი აქვს კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რომლებიც უნდა მიემართებოდეს სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **<u>რჩევა</u>: სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კონკრეტული კომპლექსური დავალებების და შემაჯამებელი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებზე.**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდატრზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ მკაფიო შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსმაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, მორგებულია სასწავლო თემებზე და სამიზნე ცნებებზე. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის დამამტკიცებული დოკუმენტაცია (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) რუბრიკები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით

	გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება, მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ადასტირებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდატრზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ მკაფიო შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კურიკულუმში არსებული შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მიხედვით, საგნობრივი სტანდარტით

	გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. წარმოდგენილია მოსწავლეთა წარმატების ამსახველი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათ შორის -სოლოტაქსონომიით. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ამ ეტაპზე სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ. ვიზიტზე ყოფნისას სკოლამ აღნიშნა რომ მომავალი სასწავლო წლისათვის იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შექმნა. ვერიფიკაცია დაფუძნებილი იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლა კანონმდებლობის ფარგლებში-დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს. 2020-2021 სასწავლო წლამდე სკოლას ყველა წესის დაცვით ჰქონდა საშუალება მატერიალური ჟურნალის წარმოების, 2020-2021 სასწავლო წლიდან სკოლა წარმატებით ართმევს თავს ელექტრონული ჟურნალის წარმოებას განსაზღვრულია ჟურნალების მონიტორინგზე

პასუხისმგებელ პირი,რომელიც პერიოდულად ამოწმებს მასწავლებლების მიერ ჟურნალის წარმოების წესის დაცვას. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- მეთოდოლოგია
- რემედიციის დებულება
- სადამრიგებლო პროგრამა

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში განხორციელებულ აქტივობებში გამოიყენება დაგეგმილი, კურიკულუმში გაწერილი ძირითადი და დამხმარე (ელექტრონული თუ მატერიალური) საგანმანათლებლო რესურსები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რესურსები მცირე რაოდენობითაა მოცემული, სკოლას არ აქვს ლაბორატორია, შესაბამისად ვერ ხერხდება

	საჭირო ცდების და ექსპერიმენტების ჩატarება, ამიტომ მეტი ელექტრონული რესურსები უნდა გამოიყენონ მასწავლებლებმა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა განახორციელონ სხვადასხვა სასკოლო თუ სკოლებს შორის არსებული პროექტები. მიუხედავად დამხმარე სასწავლო რესურსების სიმცირისა, მასწავლებლები ყოველთვის იყენებენ მთ ხელთ არსებულ დამხმარე სასწავლო რესურსებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, სასწალო პროცესში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რესურსების გამოყენებას კომპლექსური დავალების დროს, რაც მოსწავლეებში დიდ დაინტერესებას იწვევს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი **დოკუმენტაციის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა, ბიბლიოთეკის ფონდი და ელექტრონული რესურსების ბაზა/ლინკები)** შესწავლით დგინდება, რომ სასწავლო რესურსები შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები (ძირითადი რესურსი), ისე მრავალფეროვანი დამხმარე მასალები. ინტერვიუ დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ წვდომა საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობაზე (პროექტორი, კომპიუტერი, ინტერნეტი), რაც მათ საშუალებას აძლევს, კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობები განახორციელონ შეუფერხებლად, რაც პირდაპირ აისახება მოსწავლეთა ჩართულობისა და ენობრივი კომპეტენციის ზრდაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების სწავლებისთვის შერჩეულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე

	რესურსად მუსიკის საგანი იყენებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელექტრონულ რესურსებს, როგორც თემებისა და საკითხების სახით აგრეთვე ვიდეო-აუდიო რესურსის ფორმატით. მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ პერსონალურ კომპიუტერს, ხმის გამაძლიერებელს, პროექტორს მოსწავლეთა პრეზენტაციების წარსადგენად. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვის კი სხვადსხვა თვალსაჩინოებას, პლაკატებს, პრეზენტაციებს და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, სამინისტროსთან კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების ირჩევა აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და დამხმარე სასწავლო რესურსები (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული გაკვეთილების ანალიზები და ფილმები). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული რესურსები კარგი დამხმარე საშუალებაა, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილი და ინტერესი. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად. პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად,

	მწერლის სახლ-მუზეუმები). სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები ლიტერატურულ კონტექსტსა და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური და ციფრული რესურსებით. მნიშვნელოვანია, რომ რესურსების გამოყენება არ ატარებს ფორმალურ ხასიათს და ისინი შერჩეულია თითოეული თემის სპეციფიკისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები; კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები; ინტერნეტრესურსები სასწავლო მიზნით შექმნილი მულტიმედიური პროდუქტები, განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალება, მოსწავლეთა ნამუშევრები -პრეზენტაცია Power Point-ის გამოყენებით, რაც ზრდის მოსწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას, და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის სწავლებისას სკოლის მიერ წარმოდგენილია კლასებისა და თემების მიხედვით დალაგებული საგანმანათლებლო დამხმრე რესურსი და ფოტო მასალა, რის საფუძველზეც , შეიძლება ითქვას , რომ სკოლა აქტიურად იყენებს დამხმარე რესურსს საგნობრივი სტანდარტით გათვალისიწინებული თემების, საკითხების სწავლების დროს. კომპლექსური დავალების განხორციელებისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; მოსწავლეებისათვის არ არსებობს შემაფერხებელი გარემოება, რაც შეზღუდავს ხელმისაწვდომობას სკოლაში არსებულ დამხმარე სასწავლო რესურსებზე. მასწავლებლები მიზნობრივად იყენებენ ყველა რესურსს, რაც მოსწავლეებს ეხმარებათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, ასევე გამოყენებული რესურსები გადის ვალიდაციას კათედრებზეც, რათა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკს, ინტერესებსა და სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილი რესურსები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, როგორც შიდა სასკოლო საზოგადოებისათვის, აგრეთვე მშობელთათვის. მატერიალური თუ ელექტრონული რესურსების გამოყენება ყველას შეუძლია ინტერესიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. კურიკულუმის დოკუმენტებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ამ დამხმარე რესურსების შერჩევა, შეფასება ან დამტკიცება. არ არის მითითებული კრიტერიუმები, ვის მიერ ხდება ვალიდაცია, ან რა პერიოდულობით ხდება მათი გადამოწმება, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღწერეს თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

	რჩევა: სასურველია, კათედრამ დანერგოს პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ნათელია, რომ სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიებში გამოყენებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები შეთანხმებულია კათედრასთან, გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. აქვთ პროექტორი, ლეპტოპები, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები, სკოლაში არსებული მრავალფეროვანი თვალსაჩინოება -პოსტერები, მოდელები, რაც წარმოადგენს საკმარის მასალას სწავლის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას შეპირდნენ, გარკვეულ ვადებში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გაკეთებას. ხარვეზი: სკოლამ გონივრულ ვადებში უნდა უზრუნველყოს საბაზო და საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის გამოყენების ხელშესაწყობად და სიღრმისეული სწავლებისთვის ლაბორატორიის აწყობა, რეაქტივების მარაგის შევსება. - სკოლამ გაიზიარა აღნიშნული ხარვეზი და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გამოაგზავნა ახალი შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა აპირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულად აღჭურვას. ვადები 05.03.2026 - 05.03.2027 წელი

	ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სასკოლო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას მატერიალური სახით. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბეჭდური სახით ბიბლიოთეკაში, ასევე შესაძლებელია, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსების გამოყენება. სკოლაში არის რუკები, ატლასი, გლობუსი და სხვ. რესურსი კურიკულუმის განხორციელებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკითა და საგაკვეთილო ინვენტარით. მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ წვდომა პროექტორზე, კომპიუტერებსა და ინტერნეტზე, რაც სხელს უწყობს უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილია სხვადასხვა თვალსაჩინოებები, პლაკატები, პრეზენტაციები, პროექტორი, ლეპტოპი, ხმის გამაძლიერებელი და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით: ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, გრაფიკული ორგანიზატორებით, ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომითა და ინკლუზიური მასალებით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების,

	შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ფოტო მასალა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, რაც იძლევა საშუალებას სკოლამ განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული ვალდებულებები. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებს ციფრულ რესურსებს. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწესებულება ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. პედაგოგთა უმრავლესობა არის სერტიფიცირებული და ფლობს შესაბამის კომპეტენციას კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან რესურსებსა და თანამედროვე მეთოდოლოგიას. სკოლაში ირიცხება 2 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, შესაბამისად სკოლას **უნდა ჰყავდეს** შესაბამისი კვალიფიციური კადრი, თუმცა სკოლას არ ყავს **სპეციალური მასწავლებელი, არადა სსსმ მოსწავლეებს აუცილებლად სწირდებათ სპეც მასწავლებელი.** სკოლაში **არის ასისტენტი,** რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერას, თუმცა მას ამ ეტაპზე **არ აქვს მინიჭებული უფროსი** მასწავლებლის სტატუსი. ასევე, პედაგოგიურ კოლექტივში **ირიცხება ორი მასწავლებელი: დაწყებითი საფეხურის ერთი მასწავლებელი და საბაზო, საშუალო საფეხურის სპორტის მასწავლებელი,** რომელთაც ჯერჯერობით **არ აქვთ უფროსი მასწავლებლის სტატუსი.**
აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გარემოება არ აფერხებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, თუმცა სკოლას აქვს გააზრებული პროფესიული განვითარების მხარდაჭერის საჭიროება აღნიშნული კადრებისთვის.
სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რჩევა და წარადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს, რომ უმოკლეს ვადაში (15.06.2026-15.09.2026) სკოლა გამოაცხადებს ვაკანსიას კვალიფიცირებული კადრის ასაყვანად.
ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- მეთოდოლოგია
- სადამრიგებლო პროგრამა
- კათედრაზე არსებული მატერიალური რესურსების ფოტოები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ დაბა ლენტეხის N1 საჯარო სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. კურიკულუმის მონიტორინგი ამ ეტაპზე ხორციელდება კათედრისა და ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ, მიმდინარე სამუშაო პროცესებზე დაკვირვებით. 2026-2027 სასწავლო წლისთვის იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასების მეორე ინსტრუმენტის (სასკოლო წერის) შემოღება, რომლის მიზანიც იქნება სასკოლო დონეზე კურიკულუმების შუალედური და წლიური შეფასება.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

   სკოლაში დანერგილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არ ატარებს ფორმალურ ხასიათს და იგი პირდაპირ არის მიმართული სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმის განხორციელების დინამიკაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს: **ხარვეზების იდენტიფიცირება:** პროცესშივე გამოვკვეთოთ ის ხელისშემშლელი ფაქტორები (რესურსების ნაკლებობა, დროის მენეჯმენტი ან მეთოდოლოგიური სირთულეები), რომლებიც აფერხებს დასახული მისაღწევი შედეგების შესრულებას. **მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები:** მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები (სტუდენტთა ნაშრომების ანალიზი, მასწავლებელთა რეფლექსია) ხდება საფუძველი კურიკულუმში ოპერატიული ცვლილებების შესატანად. **პრობლემის გადაჭრის მექანიზმი:** შეფასება აღქმულია არა როგორც საბოლოო ვერდიქტი, არამედ როგორც დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი. თუ მონიტორინგი აჩვენებს, რომ კონკრეტული სტრატეგია ვერ მუშაობს, სკოლა განსაზღვრავს ალტერნატიულ გზებს (მაგ: დამატებითი ინტერვენციები, სამასწავლებლო ტრენინგი ან რესურსების მოდიფიკაცია).

   შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი სკოლაში ფუნქციონირებს როგორც განვითარებაზე ორიენტირებული ციკლი, სადაც ნებისმიერი გამოვლენილი პრობლემა ხდება ახალი, გაუმჯობესებული პრაქტიკის დანერგვის საფუძველი.

..

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვით, მონიტორინგი და შეფასება ტრანსფორმირებულია მხარდაჭერის ეფექტურ ინსტრუმენტად, რაც დასტურდება შემდეგი მიდგომებით: **მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა:** მონიტორინგის პროცესი ორიენტირებულია არა შეცდომების ძიებაზე, არამედ საჭიროებების იდენტიფიცირებაზე. დაკვირვების შედეგები საფუძვლად უდევს მასწავლებელთათვის ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევას, გამოცდილების გაზიარებასა და კოლეგიალურ დახმარებას, რაც ხელს უწყობს პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება: მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასება მასწავლებელს აძლევს საშუალებას, დროულად დაინახოს თითოეული მოსწავლის წინსვლა ან შეფერხება. ეს საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი დაიგეგმოს დიფერენცირებულად, მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებითა და კონსტრუქციული უკუკავშირის საფუძველზე. **ერთობლივი პასუხისმგებლობა და ჩართულობა:** მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ანგარიშვალდებულების სამართლიან გადანაწილებას. პრობლემების იდენტიფიცირება ხდება საერთო ზრუნვის საგანი, რაც აძლიერებს ნდობას სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის.
განვითარებაზე ორიენტირებული გარემო: წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით სწავლის შესაძლებლობა სკოლას აქცევს „სწავლობად ორგანიზაციად“, სადაც შეფასება აღქმულია როგორც ზრდისა და განვითარების წინაპირობა და არა როგორც სადამსჯელო ღონისძიება.
აღნიშნული მიდგომით, სკოლაში მონიტორინგი ასრულებს „მრავალფუნქციური მხარდაჭერის“ როლს, რაც სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასწავლო პროცესის შეფასების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტები
- ხარისხის მართთვის ჯგუფის ბრძანება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   სკოლის მიერ წარმოდგენილი აღწერის მიხედვით, შეფასება გამოიყენება მოსწავლის მიღწევების დასადგენად ეროვნული სტანდარტების შესაბამისად და იძლევა ინფორმაციას როგორც მოსწავლის, ასევე კლასისა და სკოლის დონეზე მიღწევებისა და პრობლემების შესახებ. ასევე ხაზგასმულია, რომ შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და მონიტორინგი, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს შეფასების **ზოგად მიზნებსა და მნიშვნელობას** . მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ
შეფასება ეფუძნება **მრავალფეროვან წყაროებს** (მაგ.: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, დაკვირვება, პროექტები, პორტფოლიო, თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება); მასწავლებელთა პორტფოლიოებში გამოყენებულია განსხვავებული შეფასების ინსტრუმენტები და მეთოდები; ხდება სხვადასხვა მონაცემის ინტეგრაცია მოსწავლის ჰოლისტური სურათის შესაქმნელად; არსებობს სისტემური მიდგომა შეფასების მონაცემების გამოყენების მიმართულებით. ყოველივე ეს ასახულია კათედრის ოქმებშიც.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და აისახება მოსწავლის მოტივაციაზე. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ხორციელდება კონტექსტის შესაბამისად. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ მომენტში გვჭირდება.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლისთვის შეფასება ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი ფორმაა და დიაგნოსტიკური ხასიათის თუ სხვა სახის კვლევების ჩატარებით სკოლა იღებს ინფორმაციას სწავლის შედეგების ეფექტურობის შესახებ . მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. მასზე დაყრდნობით კი ვგეგმავთ მომდევნო სასწავლო პროცესს. შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნება დაგვეხმარება მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში, შეფასების სანდოობასა და გამჭვირვალობაში.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მოსწავლეთა შეფასება კომპლექსური პროცესია და ეფუძნება მრავალფეროვან ფაქტორებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ იმ გარემოებებზეც, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლის ხარისხზე. კერძოდ, ანალიზდება: სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა; ძირითადი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების გამოყენების ხარისხი; აკადემიურ მოსწრებაზე მოქმედი სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორები.

საბაზო საფეხურის შეფასების პროცესში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება **შუალედურ მიზნებზე ორიენტირებულ დავალებებზე**. აღნიშნული მიდგომა პრიორიტეტულია, რადგან ის ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) ინტერაქტიულ და თანადროულ გამოყენებას. აღნიშნული მიდგომით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებასა და ცოდნის ტრანსფერს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კვლევის ანგარიში შეფასების შესახებ
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   საგნობრივი კურიკულუმები იქმნება ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით. სკოლას ყავს შეფასების ჯგუფი, რომელიც წლის განმავლობაში ზრუნავდა **კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერაზე.** ამ ჯგუფის ეფექტური მუშაობით მომზადებულია **სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.** მიმდინარეობს მუშაობა ახალი კურიკულუმის ჩარჩოსა და ახალი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოს შესადგენად და ყველა იმ რეკომენდაციის გასათვალისწინებლად, რომელიც შეფასების ჯჰუფმა მოამზადა. ახალი სასწავლო წლისთვის შეიქმნება საგნობრივი კურიკულუმები ,რაც უფრო რეალურს გახდის ახალი კურიკულუმის დანერგვას სასწავლო პროცესში..**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება აისახება მომდევნო წლის კურიკულუმში. აღნიშნულია, რომ გამოცდილება განიხილება როგორც კლასის, ასევე საფეხურის დონეზე და კურიკულუმი მოდიფიცირდება, მათ შორის კომპლექსური დავალებების დამატებით. ასევე მითითებულია, რომ წლის ბოლოს იგეგმება კურიკულუმის რევიზია, სადაც აისახება დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება.
დადებითად უნდა შეფასდეს, რომ: სკოლა აცნობიერებს **წინარე გამოცდილების გათვალისწინების მნიშვნელობას**; არსებობს კურიკულუმის **რევიზიის დაგეგმილი პროცესი**; ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას (კომპლექსური დავალებები). ამასთან, წარმოდგენილი აღწერა მეტწილად არის **დეკლარაციული ხასიათის** , თუმც მასწავლებლებთან ინტერვიურებისას და მათი პორტფოლიოების გაცნობისას სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება აისახება მომდევნო წლის კურიკულუმში.

მითითებულია შესაბამისი მტკიცებულებები (დიაგნოსტირების დოკუმენტაცია, სასკოლო სასწავლო გეგმა, შეფასების დოკუმენტები), წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება მათი **კურიკულუმის რევიზიასთან პირდაპირი კავშირი**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დიაგნოსტირების ამსახველი დოკუმენტაცია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასწავლო პროცესის შეფასების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტაცია

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 25.05.2026



ავტორიზაციის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

მათემატიკის ექსპერტი: 

ზოგადმეცნიერებების ექსპერტი:

ცხოური ენების ექსპერტი:

□პორტის საგნობრივი ექსპერტი:

□უნებისმეტყველებისექსპერტი :

□ახელმწიფო ენის ექსპერტი:

ესთეთიკური აღზრდის ექსპერტი
დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ტექნოლოგიების ექსპერტი